ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 252 (19993) ᲙᲕᲘᲠᲐ, 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ: ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

**რამდენიმე დღეც, და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა ზეიმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან იუბილეს.**

**ამ დროის მანძილზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და დიდი რუსი ხალხის წინამძღოლობით ერთი საერთო დიდი მიზნით გამსჭვალულმა საბჭოთა ადამიანებმა გაუძლეს ყოველგვარ განსაცდელს, დაძლიეს არნახული სიდუხჭირე, ისტორიულად უმოკლეს ვადაში შეძლეს აღედგინათ დანგრეული სახალხო მეურნეობა და თავიანთი სოციალისტური სამშობლო წუბისმიერი მაჩვენებლებით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე გაეყვანათ.**

**და თუ ახლა მთელ ჩვენს დიად სამშობლოში წარმატებით მიმდინარეობს ჭეშმარიტად რევოლუციური გარდაქმნებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შეუქცევადი პროცესი, ამაში დიდია რუსი ხალხის, მრავალეროვანი რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა დამსახურება. ᲐᲛᲐᲡ ᲛᲘᲦᲘᲗᲮᲠᲝᲗ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲠᲣᲡᲣᲠᲘᲙᲘᲗ „ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ: ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ“ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ.**

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲡ

ძვირფასო ამხანაგებო!

ლენინური გვარდიის სახელოვანი ვეტერანებო!

ჩვენი ქვეყანა, პლანეტის პროგრესული ადამიანები აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, XX საუკუნის იმ სწორუპოვარი მოვლენის სამოცდაათ წლისთავს, რომელმაც გვაუწყა კაცობრიობის ცხოვრების ახალი ხანის დადგომა. ოქტომბრის გამარჯვება მოიპოვეს მუშათა კლასმა, რუსეთის ყველა მშრომელმა ბოლშევიკური პარტიისა და მისი მეთაურის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ხელმძღვანელობით. ოქტომბრის გამარჯვებამ დაამკვიდრა ცივილიზაციის ისტორიაში არნახული საზოგადოების წყობის პრინციპები: მშრომელთა ძალაუფლება, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება. ოქტომბერმა გზა გაუკვალა ხალხთა ინტერნაციონალურ ერთობას, ნამდვილ თანასწორობას და ძმობას, გასაქანი მისცა კოლექტივიზმსა და ამხანაგურ ურთიერთდახმარებას, მასების ინიციატივას და შემოქმედებას. იგი საერთაშორისო ასპარეზზე გავიდა მოთხოვნით, რომელიც დღესაც აქტუალურია: მშვიდობა — ხალხებს!

რევოლუციის წლისთავს რომ ვზეიმობთ, სამართლიანად ვამაყობთ ჩვენი ისტორიით. დრო-უამი ვერაფერს დააკლებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაწილეთა, პროფესიონალ რევოლუციონერთა, ვ. ი. ლენინის თანამოსაგრეთა, საბჭოთა ხელისუფლების აქტიურ მებრძოლთა საგმირო საქმეების ბრწყინვალებას. წმინდად ვინახავთ გულში სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირების, სოციალისტური სამშობლოს ყველა იმ მამაცი პატრიოტის სხოვნას, რომლებმაც იმპერიალისტი ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში შეინარჩუნეს და დაიცვეს ოქტომბრის მონაპოვარნი.

რევოლუციის წლისთავს რომ ვზეიმობთ, ჯეროვან პატივს მივაგებთ ახალი ცხოვრების მშენებელთა ყველა თაობას, ყველას, ვინც ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი მხარიდან მძლავრ მსოფლიო სოციალისტურ სახელმწიფოდ გადააქცია. ჩვენს დღევანდელ მიღწევებში ჩაქსოვილია მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის გარჯა და ნიჭი, რევოლუციური სიმტკიცე და გმირობა.

რევოლუციის წლისთავს რომ ვზეიმობთ, გულდაჯერებით შევყურებთ მომავალს, პარტია, საბჭოთა ხალხი განაგრძობენ ოქტომბრის საქმეს — ახორციელებენ გარდაქმნას, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს რევოლუციურ განახლებას. ეს კურსი, რომელიც სკკპ XXVII ყრილობამ დაამკვიდრა, მტკიცედ აერთიანებს ჩვენი მიზნების მასშტაბურობას და ჩვენი შესაძლებლობების რეალიზმს, მას მხურვალედ უჭერენ მხარს ქვეყნის მშრომელები. ახორციელებენ თავდადებით და ენერგიულად.

გარდაქმნის პროცესი ხელს უწყობს უძრაობის მოვლენებისა და კონსერვატიზმის დაძლევას, მაცოცხლებელი ქარით ბერავს განახლების იალქნებს. დასაბამი მეცა ძირეულ ცვლილებებს ეკონომიკის მართვასა და სამეურნეო მექანიზმში. მტკიცდება სოციალურ-კულტურული სფერო და საზოგადოების სულიერი პოტენციალი. ჩვენი დღევანდელი ცხოვრების განუყოფელი ნიშნები ხდება გაღრმავებული დემოკრატიზმი და საჯაროობა. თავისი არსით რევოლუციური გარდაქმნა, ჩვენს ქვეყანაში რომ მიმდინარეობს, ნაკარნახევია ერთი მისწრაფებით და ერთი მიზნით: მეტი სოციალიზმი, ოქტომბრით დაწყებული მეტი საქმე.

პარტია, საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ და თანამიმდევრულად იბრძვიან კაცობრიობისათვის შექმნილი ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა უშიშროებისათვის. ჩვენ საერთაშორისო საქმეებში ახლებური აზროვნების, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრების მომბრძენი ვართ.

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად მოგილოცავთ თქვენ, ოქტომბრის რევოლუციის მონაწილეებს, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებს, საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს. მოგახსენებთ უღრმეს მადლობას თქვენი დამსახურებისათვის სამშობლოს წინაშე, თქვენი მხედრული გმირობისა და შრომითი წარჩინებისათვის, თქვენი პირადი წვლილისათვის ოქტომბრის მონაპოვართა განვითარება-განმტკიცებასა და დაცვაში.

დარწმუნებული ვართ, თქვენ კვლავაც იქნებით კომუნიზმის დიადი იდეალების დამამკვიდრებელ აქტიურ მებრძოლთა მწყობრში, მხარში ედგებით პარტიას, რათა აღზარდოთ ახალგაზრდობა საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით, მონაწილეობას მიიღებთ სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარების სტრატეგიის განხორციელებაში, ჩვენი საზოგადოების გარდაქმნაში.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, ბედნიერებას და წარმატებებს თქვენს კეთილშობილ მოღვაწეობაში ახლანდელ და მომავალ თაობათა სასიკეთოდ, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ**

**ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ**

**ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ**



**ᲮᲕᲐᲚ, 2 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲓᲦᲘᲡ 10 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲥᲠᲘᲚᲝᲒᲐᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲙᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ.**

# ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ, ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ

**31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ** თბილისი-მოსკოვის სპეციალური რეისით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში გაემგზავრა საქართველოს სსრ დელეგაცია, რომელშაც მონაწილეობა უნდა მიიღოს საზეიმო სხდომაში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები, სსრ ავტორის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელები, აგრეთვე წარმოების მოწინავეთა, მეცნიერების და კულტურის მოღვაწეთა, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანთა დიდი ჯგუფი.

თბილისის აეროპორტში საქართველოს დელეგაციის გასაცილებლად მოვიდნენ რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

# გავუსაროთ მშრომელი ადამიანი

## ᲙᲕᲚᲐᲕ ᲘᲠᲚᲕᲔᲕᲐ ᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ, ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ, ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲘᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲔᲑᲘ

**ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ** წლის მეოთხე კვარტალში მეტად იჩინა თავი ჩამორჩენამ როგორც საცხოვრებელი სახლების, ისე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში. გართულდა ცემენტითა და ინერტული მასალებით მშენებლობის უზრუნველყოფა. ეს გარკვეულწილად საერთოდ ტრანსპორტისა და განსაკუთრებით რკინიგზის მიზეზითაც ხდება. წინსვლას ხელს ისიც უშლის, რომ ობიექტებზე წლის დამდეგიდან ვერ შეიქმნა საკმარისი მარაგსაკეთი.

დიახ, რთული სიტუაცია შეიქმნა რესპუბლიკის რეგიონის უმეტესობაში.

საფრთხეშია საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მეოთხე კვარტალისა და მთლიანად წლიური გეგმების შესრულება ქალაქებში — **სოხუმში** (პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი — გ. ნაჭყებია, სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — კ. ბიგვავა), **ბათუმში** (პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი — ა. ახვლედიანი, აღმასკომის თავმჯდომარე — რ. დოლიძე), **ცხინვალში** (პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი — გ. კორიევი, აღმასკომის თავმჯდომარე — ვ. ბესაევი), **ფოთში** (პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი — ჰ. ბერაია, აღმასკომის თავმჯდომარე — კ. უჩანეიშვილი), **ზუგდიდში** (პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი — ა. ზოდელავა, აღმასკომის თავმჯდომარე — ო. ჭითანავა), **ჭიათურაში** (პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი — ო. ხოფერია, აღმასკომის თავმჯდომარე — ჯ. გურული), აგრეთვე **ახალქალაქის** (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი — მ. ფიდანიანი, აღმასკომის თავმჯდომარე — მ. გრიგორიანი), **გარდაბნის** (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი — ო. ბოკერია, რაიაღმასკომის თავმჯდომარე — ა. დაშდამიროვი), **გულრიფშის** (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი — რ. კვანტალიანი, აღმასკომის თავმჯდომარე — ვ.კაკაბავა), **დუშეთის** (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი — ნ. ოდიშვილი, აღმასკომის თავმჯდომარე — ა. თეთრუაშვილი), **მახარაძის** (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი — თ. კუნტუშია, აღმასკომის თავმჯდომარე — მ. ჟღენტი), **მცხეთის** (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი — გ. ლოლაძე, აღმასკომის თავმჯდომარე — გ. შიხაშვილი), **საგარეჯოს** (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი — მ. მეზვრიშვილი, აღმასკომის თავმჯდომარე — გ. სბაშვილი), **საჩხერის** (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი — ე. ბერიძე, აღმასკომის თავმჯდომარე — შ. ნეფარიძე), **ხაშურის** (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი — ი. ჯიქურაშვილი, აღმასკომის თავმჯდომარე — ა. დანელია) რაიონებში.

დიდი მოცულობის სამუშაოები უნდა შეასრულონ მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — **თბილისის** (პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. ჯაშენკევი, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე დ. ჩუბინიშვილი) ბინათმშენებლებმა. წლიური გეგმის შესასრულებლად მეოთხე კვარტალში მწყობრში უნდა ჩადგეს 240 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ის ორგანიზაციები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. თერთმეტი საქმესლატაციოდ გადასაცემი მშენებარე საცხოვრებელი სახლიდან ექვსზე განსაკუთრებით შესამჩნევია ჩამორჩენა. ჩამორჩენილთა შორის არიან „ინგმენი“ (მშრომელთა ა. პირველი), „საქმიდროენერგომშენი“ (მშრომელთა მ. ციისკარიშვილი), „კავკასელექტროელექმშენი“ (მშრომელთა მ. სარალიძე), სამშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საქმთავარსპეციმონტაჟი (მშრომელთა გ. კაკულია), „საქმთავარენერგოს“ სამშენებლო-სარემონტო ტრესტი (მშრომელთა ო. გოგავა).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რესპუბლიკის ავტონომიური ფორმირების რეგიონებს, სადაც საექსპლოატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი სახლების მესამედი მძიმე მდგომარეობაშია.

არანაკლებ დამაფიქრებელია მდგომარეობა ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, სხვა დანიშნულების კულტურულ - საყოფაცხოვრებო ობიექტების დროულად მწყობრში ჩაყენების მხრივაც. საეჭვოა, მაგალითად, სბავშვო ბაღების მშენებლობის გეგმის შესრულება თბილისის ოქტომბრის რაიონში და დიდი დიღმის მეორე მიკრორაიონში. ცხინვალში გვიანდება 200-ადგილიანი სბავშვო ბაღისა და 70-საწოლიანი ინფექციური საავადმყოფოს მშენებლობა, ჭიათურაში — 720 მოსწავლისთვის ნავარაუდევი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის, მარნეულში — 280-ადგილიანი სბავშვო ბაღის ამოქმედება. საფრთხეშია აგრეთვე 400 მოსწავლისათვის გათვალისწინებული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლისა და 400-ადგილიანი კლუბის მშენებლობის დამთავრება დმანისის რაიონში, ხოლო ბოგდანოვკის რაიონში — 400-ადგილიანი კლუბისა. ძალიან გაჭირდება, როგორც ჩანს, თეთრი წყაროს რაიონის 90 საწოლიანი საავადმყოფოს, ლაჩჩუთის რაიონის 140 ადგილიანი სბავშვო ბაღის, ხობის რაიონის 180 საწოლიანი საავადმყოფოსა და ზნაურის რაიონის 200 ადგილიანი კლუბის გათვალისწინებული დროისათვის საექსპლოატაციოდ გადაცემა.

ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების გარდა, აქ უმთავრესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ **კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს** (უფროსი ბ. ზატაუშვილი), **დარგობრივ სამინისტროებს:** — **განათლების** (მინისტრის მოადგილე გ. გორგოშიძე), **კულტურის** (მინისტრის მოადგილე ა. დოლიძე), **ჯანმრთელობის დაცვის** (მინისტრის მოადგილე მ. გოგიჩაიძე).

ბინათმშენებლობის მიმდინარეობას რესპუბლიკაში განსაკუთრებით ეწევა უკან **საქაგრომშენი** (უფროსი ი. ხარატიშვილი, მისი მოადგილე ა. პაიჭაძე). ცხრა თვეში მან წლიური გეგმა მხოლოდ 22 პროცენტით შეასრულა. ეს კი თითქმის იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად წლიური გეგმის შესრულება ჩაიშალა.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ხაზით განსაკუთრებით ჩამორჩნენ თბილისის № 2 საერთო-სამშენებლო ტრესტის (მშრომელი ლ. ჩიჩუა), ცხინვალის № 11 სამშენებლო ტრესტის (მშრომელი თ. ვაშაძე), გორის № 9 ტრესტის (მშრომელი ჯ. რაზმაძე), ფოთის № 10 ტრესტის (მშრომელი რ. გოგისვანიძე), ბათუმის სახლთამშენებელი კომბინატის (დირექტორი ე. ხვიჩია), „მონოლითმშენის“ (მშრომელი ა. დვალიშვილი) კოლექტივები. არასაიმედონო სიტუაციიდან თავის დასაღწევად სულ მოკლე ხანში თუ არ განხორციელდა ოპერატიული ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის ღონისძიებანი, საქმეს თავი ვერ დაედგმება. მშენებლობის ხარისხისადმი გაზრდილ მკაცრმა მოთხოვნებმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი წლიური გეგმების შესრულებაში, აუცილებელია დაძლეიოთ სინდისლები, მხარი ავუბათ დროს, გარდაქმნის მსვლელობას. წლის დამლევამდე დარჩენილ დროში კიდევ ბევრის გაკეთებას შეძლებთ, თუ გამოიყენებთ ყველა შესაძლებლობას, გავაძლიერებთ პასუხისმგებლობასა და მეტად გაგაჭიანურებთ ადამიანის ფაქტორს. საჭიროა ობიექტებზე ძალების, ადამიანების, ტექნიკისა და მატერიალური რესურსების კონცენტრაცია. საქმე და სიტყვა ერთი უნდა იყოს. ამის იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ქუთაისსა და რუსთავში დასახეს მდგომარეობის გამოსწორებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი, დაიწყეს მათი განხორციელება და საქმესაც დაეტყო წინსვლა. მაგრამ რესპუბლიკის რეგიონების უმეტესობაზე ამას ვერ ვიტყვით. ცხადია, უნდა გავითვალისწინოთ ამინდის გაუარესებაც. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოთ მოსაპირკეთებელ სამუშაოებს, ბინების დროულად დათბუნებას. აქვე დავძენთ, რომ მუშაობის სწრაფმა ტემპმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააუარესოს ხარისხი, გავითვალისწინოთ შარშანდელი მწარე გაკვეთილი, როცა სახელმწიფო კომისიამ არ ჩაიბარა ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სხვა დანიშნულების ობიექტები.

არ უნდა დავივიწყოთ მშენებლებისა და საერთოდ სამშენებლო კონვეიერის სხვა უბნების მუშაკთა მატერიალურ და მორალურ წახალისებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფორმის ძიება და ფართოდ გამოყენება. საერთო ძალისხმევით, მონდომებით, საქმისათვის გაძლიერებული პასუხისმგებლობით, კომუნისტთა აქანგარდული როლის გაძლიერებით უთუოდ მივაღწიოთ მიზნს — დროულად გადავცეთ საექსპლოატაციოდ საცხოვრებელი სახლები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები. გეგმის შეუსრულებლობისათვის კონკრეტულად ვაგოთ პასუხი.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა განსაკუთრებული კონტროლი დაუწესონ საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას, საგანგებო ღონისძიებები დასახონ წლიური გეგმების უთუო შესრულებისათვის. საჭიროა ღრმად გავერკვეთ სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში, დავეხმაროთ მათ წარმოების ისეთი დაძაბული გრაფიკების შედგენაში, რომელიც უზრუნველყოფს ჩამორჩენის დაძლევას წლის დამლევამდე დარჩენილ დროში.

როგორც წინა მიმოხილვაში („კომუნისტი“, 16 ოქტომბერი) აღვნიშნავდით, მწარე გაკვეთილი, რომელიც შარშანდელ შედეგებთან დაკავშირებით რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ მიიღო, არასოდეს არ უნდა დაგავიწყდეს. მით უმეტეს, რომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ამას წინანდელ თათბირზე რესპუბლიკა კვლავ გააკრიტიკეს ჩამორჩენისათვის. ცნობილია ღონისძიებანი, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს სამშენებლო კომპლექსის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეკონომიკურ მეთოდებთან ერთად მეტისმეტად საჭიროა ამ კომპლექსისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მკვეთრი გაუმჯობესება, კომუნისტთა ავანგარდული როლის განტკიცება, პრინციპული მომკითხვლობა და უმტკიცესი დისციპლინა. ნუ დაგვავიწყდება, რომ სოციალური და კულტურული დანიშნულების ობიექტების დროული და ხარისხიანი მშენებლობის საქმე ხალხის გუნება-განწყობილების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. მით უმეტეს ახლა, როცა პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ ეს სფერო პრიორიტეტული გახდა. ოქტომბრის ზეიმმა, შრომიმომა ენთუზიაზმმა, მონდომებამ ხელი უნდა შეუწყოს დასახული გეგმების უთუო შესრულებას. მხოლოდ ეს მიზანი უნდა გვამძრავებდეს ყველას, მხოლოდ მისი განხორციელება უნდა იყოს. მშენებელთა შრომითი კოლექტივების მუშაობის შეფასების კრიტერიუმი.

**„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.**



## ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲤᲔᲠᲝ

ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲡᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲝ ᲡᲐᲑᲠᲣᲜᲐᲕᲘ

# ᲡᲢᲘᲥᲘᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲘᲮᲔᲕᲡ, ᲓᲐᲕᲘᲠᲐᲖᲛᲝᲗ ᲭᲘᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲚᲔᲑᲐᲓ!

**რესპუბლიკაში ავდარი თავისას არ იშლის. იგი კვლავ მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას, მინდვრად აუღებელ ჭირნახულს. ამის თაობაზე „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები ადგილებიდან გვატყობინებენ:**

**ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ.** სექტემბერსა და ოქტომბერში არაჩვეულებრივი მზიანი და თბილი ამინდები იდგა აფხაზეთში. მოსავლის აღებისათვის კი დიდი ხანია ასეთი ხელსაყრელი პირობები არ ახსოვთ. მაგრამ გვიან შემოდგომაზე ეს ასე დიდხანს რომ არ გაგრძელდებოდა, ყველამ იცოდა. მთებში უკვე ჩამოთოვა, ბარში აცივდა. გუდაუთის რაიონის მხვნელ-მთესველებმა კი კარგი ამინდები ჯეროვნად ვერ გამოიყენეს. რაიონის ცალკეული მეურნეობები ჩამორჩნენ სიმინდის მოსავლის აღებასა და მეცხოველეობისათვის საკვების დამზადებაში. რაიონში წელს სიმინდი გეგმით უნდა აიღონ 3.674 ჰექტარზე, აღებულია 670 ჰექტარზე; რაიონის მეურნეობებს ჯერ არ დაუწყიათ სახელმწიფოსათვის სიმინდის მოსავლის მიყიდვა. გეგმით კი 394 ტონაა ჩასაბარებელი.

რა მოხდა, რატომ ჩამორჩნენ ასე გუდაუთელები?

**რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სამეურნეო ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲗᲔᲛᲣᲠᲘ ᲨᲣᲨᲐᲠᲘᲐ თქვა:**

— სოფლის მშრომელები თამბაქოს და ყურძნის მოსავლის აბინავებდნენ, სიმინდი კი გამოგვრჩა — თან დასძინა, ყანები გვიან დათოესა და მოსავლის დამწიფებაც დაგვიანდაო.

ამაში მას ვერ დავეთანხმებით, რადგანაც აღნიშნული კულტურების მოსავალი ხომ მოწინავე მეურნეობებს — ლიხნის XXIV პარტყრილობის და ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებსაც ჰქონდათ ასაღები, მაგრამ მათ უკეთ აქვთ მოწყობილი შრომის ორგანიზაცია და ამიტომაც მუშახელს მაქსიმალურად იყენებენ.

უხვირო შრომის ორგანიზაციის გამო სიმინდის მოსავლის აღება ჯერ არც კი დაუწყიათ სოფელ ბლაბურხვის ლაკობას სახელობის და სოფელ აიცის კოლმეურნეობებში (თავმჯდომარეები — ა. დბარი, ვ. ავიძბა), ხოლო სოფელ კალდახვარის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ვ. ზარდანია) 118 ჰექტარიდან მოსავალი აიღეს მხოლოდ 3 ჰექტარზე, სოფელ ჯირხვის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — გ. აგრბა) 298 ჰექტარიდან სიმინდი აღებულია 28 ჰექტარზე. ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ ანუხვის ოქტომბრის რეკონსტრუქციის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — რ. კოჩკინიანი), სოფელ მუგუძირხვის (თავმჯდომარე — ვ. ენიკი) და სხვა მეურნეობებში.

სიმინდის მოსავლის აღებაში ასეთი დიდი ხარვეზები შეუწყნარებელია. რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა როგორმე დააღწიონ თავი ამ სავალალო მდგომარეობას.

**ᲭᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ.** ეს მესამე დღეა განუწყვეტლივ თოვს კაბეთში. ზოგან თოვლის სიფარმა 15-20 სანტიმეტრს მიაღწია.

თოვლი ადრეც ყოფილა ოქტომბერში, მაგრამ თან ასეთი ყინვები არ მოპყოლიაო, ამბობენ წლოვანი ადამიანები.

თოვლმა და ყინვამ ყველაზე მეტად მეცხვარეები შეაწუხა, ისინი ხომ ჯერ ზამთრის ბინებში არც კი შესულან!..

ცხვარი თუ მაძღარია, სიცივისა არ ეშინიაო, იტყვიან ხოლმე მეცხვარეები, და გვიან შემოდგომამდე მინდვრად აძოვებენ პირუტყვს. მაგრამ სიცივეც არის და სიცივეც. წყალი გაიყინა, წყურვილი ვეღარ მოუკლავს ცხვარს.

არც მეწყვილ საქონელს ადგია კარგი დღე. ბევრგან ზამთრის ბინები შესამინავი და დასათბუნებელია, სადგომებთან არ არის მიტანილი საკვები, მწყემსებისათვის — სათბობი და საგზალი.

**ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘ.** იქ, სადაც კარგი თადარიგი დაიჭირეს, რათა ის, რაც მოწეულია, უდანაკარგოდ აეღოთ, ამას კიდეც მიაღწიეს. განთიადისა და ირგანჩაის საბჭოთა მეურნეობებმა მოსავალი შემჭიდროებულ ვადებში აიღეს და პირველებმა უპატაკეს სამშობლოს კარტოფილის ჩაბარების წლიური დავალების შესრულება. მათ შექმნეს თესლის მარაგიც და სამედოდ დაბინავეს იგი.

სამწუხაროდ, ყველგან ერთნაირად როდი გაისარჯნენ. დარიან დღეებს არ დაუშურნენ და მოსავალი დროზე ვერ აიღეს ყამარლოს, განახლების, ამამლოს, ციროვისის, გომარეთის, დმანისის საბჭოთა მეურნეობებმა (დირექტორები — ი. მამედოვი, ა. გიორგიევი, ა. რზაკულიევი, ი

# ინტერნაციონალიზმით ვართ ძლიერნი

## დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის პრეზიდიუმში

**„სიტყვა ინტერნაციონალური პოლიტიკა“** — ამ თემას მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც 30 ოქტომბერს გაიმართა მოსკოვში. საბჭოთა ხელისუფლების სამოცდაათი წლის გამოვლენილში ჩვენმა ქვეყანამ და ჩვენმა ხალხებმა ოდესღაც ჩამორჩენილი ეროვნული განაპირა მხარეების აღმავლობას მიაღწიეს, თქვა ეროვნალისტებთან შეხვედრის გახსნისას დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის პრესცენტრის ხელმძღვანელმა ნ. ვ. შილინმა. დღეს ყოველი მოსკოვირე რესპუბლიკა დიდად განვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარული კომპლექსია და გარდაქმნის პირობებში აჩქარებს თავისი განვითარების ტემპს. ამავე დროს სწორი არ იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს შვიდი ათწლეულის მანძილზე არ გვქონდეს შეცდომები ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში, სერიოზული ხარვეზები იმ ძნელსა და რთულ ისტორიულ გზაზე, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა.

შემდეგ პრესკონფერენციის მონაწილეებმა უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებს.

წელს შეიქმნა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეროვნულ და ეროვნებათშორის ურთიერთობათა კომისია, თქვა **რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. კ. პუგომ.** მის პირველ სხდომაზე გამოვიტანეთ საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი რესპუბლიკის სასწავლებლებში ენების შესწავლასთან, კერძოდ, რუსული ენისა— ლატვიურ სკოლებში და ლატვიურისა — რუსულ სკოლებში. კომისიის შექმნამდე მივმართეთ რესპუბლიკის მოსახლეობას, რათა გაგვეგო აზრი პრობლემის არსთან დაკავშირებით. მიმართვა აქტუალური გამოდგა. მივიღეთ ბევრი წერილი, უამრავი წინადადება, რომლებიც გავითვალისწინეთ.

საქმის არსი ის არის, რომ რესპუბლიკაში უნდა იყოს ორი ენა — ლატვიური და რუსული ენები თანაბრად უნდა გამოიყენებოდეს. რატომ წამოიჭრა სკოლების საკითხი? ენების შესწავლა, როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო ადვილია ადრეულ ასაკში. ამიტომ ყურადღება გავამახვილეთ იმაზე, რომ ენის შესწავლა იწყებოდეს სბავშვო ბაღშივე. სხვათა შორის, რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებშიც არსებობს ლატვიური ენის შესწავლის წრე. განზრახული გვაქვს კიდევ უფრო ღრმად განვიხილოთ ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია, ვთქვათ, ლატვიელი ერის ისტორიის და ხელოვნების შესწავლასთან, რუსულენოვან სასწავლებლებში სწავლებასთან. დასახულია მოქმედების მთელი პროგრამა.

უკანასკნელ ხანს საზღვარგარეთ ლაპარაკობენ მაჰმადიანთა მოძრაობის რაღაც აფეთქებაზე, მაჰმადიანური სახელმწიფოების, თვით მაჰმადიანების განსაკუთრებულ სტატუსზე, თქვა ჟურნალისტთა კითხვის პასუხად **უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რ. ნ. ნიშანოვმა.** ზოგჯერ თანამედროვე სამყაროში მაჰმადიანთა განსაკუთრებული ადგილის ხაზგასმას მიმართავენ იმ ვარაუდით, რომ ეს ხელს შეუწყობს საბჭოთა შუა აზიის ხალხების ჩამოცილებას საბჭოთა ხელისუფლებისაგან. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ვარაუდი არავითარ რეალურ საფუძველს არ ემყარება. რაც შეეხება ალმა-ათის ამბებს, ეს იყო ცალკეული პირთა ნაციონალისტური გრძნობების ამოხეთქვა, რომელიც არ გაიზიარეს მშრომელებმა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ყაზახეთმა დიდი ნაბიჯი გადადგა თავისი განვითარების გზაზე.

საბჭოთა რესპუბლიკების ინტერნაციონალური ძმობის შესახებ გაუზიარა თავისი აზრები შეკრებილთ **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.** ჩვენს რესპუბლიკას, თქვა მან, წელს არასახარბიელო პირობები შეექმნა — სტიქიურმა უბედურებამ, რომელიც თავს დაატყდა რესპუბლიკის ტერიტორიას, გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე, გარდაქმნა დაგეგეზმარა თავი დაგეგეწია ძნელი მდგომარეობისათვის. ქართველი ხალხი გულწრფელად მადლობელია «ძმისათვის, რომ ძნელმედობის ჟამს მთელი ქვეყანა გვეხმარებოდა და გვეხმარება. ეს დახმარება და ძმური ურთიერთობა რომ არა, რომელიც საბჭოთა ერებს შორის დამკვიდრდა, ჩვენ გაცილებით მეტი ჯაფა დაგვადგებოდა.

მთელი სირთულის მიუხედავად, გვაქვს პოზიტიური ძვრები. ეს უწონარესად ეხება ახლებურ აზროვნებას, ახალ ეკონომიკურ მექანიზმს, რომელიც უკვე მოქმედებს. ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ მოძმე რესპუბლიკების გამოცდილება.

(საკძესი).

## გუშინ, დღეს, ხვალ

**ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი**

**გუშინ,** ამიერკავკასიის საბჭდერო ოლქის ოფიცერთა სახლში გაიმართა საზეიმო საღამო, რომელზეც

**პატივი მიეცა**

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულ სამხედრო მოსამსახურეებს.

საღამოს პროგრამაში იყო სიტყვა მოწინავე ოფიცრებზე — თ. მესაბლიშვილზე, ვ. ფირსოვზა და ი. ივაშკოზე. სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს გულთბილად მიულოცეს გამარჯვება, უსურვეს ახალი წარმატებანი საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

▼ ▼

**აფხაზეთის დედაქალაქში მუშაობა დაიწყო სამედიცინო პრიმატოლოგიის საკავშირო კონფერენციამ, რომელშიც საბჭოთა სპეციალისტების გარდა მონაწილეობენ სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერები.**

**სოხუმის შესვედრაზე**

მედიკოსები განიხილავენ ჰეპატიტის, შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის, ონკოლოგიურ დაავადებათა დარაზი ექსპერიმენტულ გამოკვლევათა შედეგებს, დასახავენ სამედიცინო პრიმატოლოგიის ეფექტიანობის გზრდის გზებს, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

კონფერენციის გახსნას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ა. ადლეიბა.

▼ ▼

**ცხინვალის** რაიონის არცევის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში ერთ-ერთი მოწინავე პირველი ბრიგადა. აქ დასასრულს უახლოვდება ვაშლის კრეფა. ბრიგადის წევრები გადაწყვეტილი აქვთ საგეგმო 530 ტონის ნაცვლად 750 ტონა ვაშლი მოკრიფონ და მიჰყიდონ სახელმწიფოს.

**სურათზე: მოწინავე მეხილე გალინა გოთაევა.**

**ვ. ბენგიურის ფოტო.**

## დაჯილდოება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით**

**პარტიულ,** სამეურნეო ორგანოებში, სამეცნიერო დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სექციათა მმართველი ამხ. თამაზ დიმიტრის ძე **რამიშვილი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიტყვიერი სიგელით.

# რას გვაუწყებენ რუკები...

**ვ. ი. ლენინის** ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში გახსნილ სიაუბილეო ექსპოზიციაში დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის გამოცემული საქართველოს ახალი რუკის პირველი ეგზემპლარი გამოკრულია მეორე რუკის დუბლიკატის გვერდით — ეს უკანასკნელი გამოშვებული იყო როგორც დანართი წიგნისა „საქართველო 1921-1922 წლებში. სტატიებისა და მასალების კრებული ოქტომბრის რევოლუციის მეხუთე წლისთავისათვის“, რომელიც სსრ კავშირის შექმნის წელს გამოიცა. წიგნი გაუგზავნეს რევოლუციის ბელადს, რასაც მოწმობს წარწერა ყდაზე: „ვ. ი. ლენინს“. დედანი ილიჩის პირად ბიბლიოთეკაში ინახება.

კრებულისა და რუკის გამოსვლის დროისათვის საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში სულ ერთი წლის დამყარებული იყო. წიგნში ვკითხულობთ: „...1921 წლის გაზაფხეთი, ზაფხეთი და შემოდგომა წარმატების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში — ეს იყო მხოლოდ პირველი გაუბედავი, მოკრძალებული ნაბიჯები. ნამდვილი აღმშენებლობითი და შემოქმედებითი მუშაობა სწორედ გასული წლის დამლევიდან და მიმდინარე წლის დამდეგიდან დაიწყო“.

**1921 წელი.** საქართველოში 2.411 ათასი კაცი ცხოვრობს. ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი 20 პროცენტია. რუკაზე სულ ხუთი ქალაქია: თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ჭუთაისი, ფოთი. სასარგებლო წიაღისეულის აღმნიშვნელი სამი პირობითი ნიშანია: მანგანუმის, ქვანახშირის და ნავთობისა.

**1987 წელი.** მოსახლეობა შეადგენს 5 მილიონ 279 ათასს (1 ივლისისათვის). ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილია 54,6 პროცენტი. რესპუბლიკის რუკაზე გაჩნდა 61 ქალაქი, 65 რაიონი, 52 ქალაქის ტიპის დაბა, 942 სოფელი. 22 პირობითი ნიშნით არის აღნიშნული წიაღისეული.

1921 წელს, როგორც წიგნშია ნათქვამი „მრეწველობის ბევრ დარგში შრომის ნაყოფიერებამ მიაღწია ომამდელ ნორმას, ხოლო სხვაგან ეს ნორმა გადაჭარბებულიც კია...“. შემდეგ ნათქვამია, რომ საქართველოს დედაქალაქის მშრომელები შეუდგნენ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას — „ამ უდიდეს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ საქმეს“.

ელსადგურების არც ერთი პირობითი ნიშნები არ არის 1921-1922 წლების საქართველოს რუკაზე. წლევანდელ რუკაზე კი 20-ზე მეტ ელსადგურს ვხედავთ. საშუალოდ დღე-ღამის მანძილზე რესპუბლიკა აწარმოებს 40 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

პირველ რუკაზე ერთი რკინიგზის ხაზი ჰკვეთს საქართველოს. წლევანდელი რუკა კი რკინიგზებით არის დაქსელილი. ყოველდღიურად რკინიგზის ტრანსპორტით იგზავნება 100 ათასი ტონა ტვირთი, 70 ათასი მგზავრი, საჰაერო ტრანსპორტით — 7 ათასი კაცი.

მწყობრში დგება დიდი საწარმოები, ახალი ელსადგურები. მთავრდება ხუდონესის მშენებლობის პირველი ეტაპი, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ამოქმედდა განახლებული მილსაგლინავი დგანი „320“, ჭიათურაში დაიწყო მანგანუმის მადნების მოპოვება ახალ საბადოში...

ეს ნიშნავს, რომ ახლანდელი რუკაც მალე მოგვიძველდება.

(საძინფორმი).

ზამთარი

# წალენჯიხელები არ ჩქარობენ

**ხუსხიანი** ზამთარი იცის წალენჯიხაში. რაიონი მჭიდროდ ეკვრის სვანეთის მთებს.

სასკოლო თუ სამკურნალო დაწესებულებებს რაიასაბჭოს აღმასკომმა გამოუყო 2000 კუბური მეტრი შეშა, დიდძალი ქვანახშირი. მოსახლეობას უკვე მიეყიდა 300 ტონა საწვავი და 350 კუბური მეტრი შეშა. რაიონში განლაგებული 42 საქვაბე მეურნეობიდან კაპიტალურად შეკეთდა 39. მშენებლები პირობას იძლევიან, რომ დარჩენილ სამუშაოებს სულ მალე დაამთავრებენ. მაგრამ ამ საშურ სამუშაოს თან ახლავს დარღვევები, ცალკეულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უგულებლობის შედეგი. შეშფოთებას იწვევს წალენჯიხის სკოლა-ინტერნატის, პირველი საშუალო სკოლის, ქალაქის პირველი და სოფელ ლიის საბავშვო ბაღების გათბობის სისტემების სამუშაოთა მიმდინარეობის ნელი ტემპი. „საქსპეცკომშენის“ წალენჯიხის სამონტაჟო-სამშენებლო უბანმა ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ ამ ობიექტების მშენებლობა-რემონტის დამთავრებას ძლიერი სიცივეების დაწყებამდე მოასწროს.

ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი ელექტროენერგიით მომარაგებისა და ზამთრის პერიოდში ელექტროქსელის საიმედოობის უზრუნველსაყოფად. იმის გამო, რომ რაიონი იღება ძალიან ცოტა ბოძებსა და სხვადასხვა კვეთის გამტარებს, სერიოზული შეფერხებებით მიმდინარეობს მაღალი და დაბალი ძაბვის ხაზების რემონტი. წალენჯიხაში აუცილებლად საჭირო სამი ტრანსფორმატორი დღემდე არ არის მიღებული. საწურო საქმეა ელექტროგაყვანილობის რემონტი ნაკიფუში, საჩინოსა და ფახულაში. შემოწმების დროს ნახშირი და შეშა შეზიდული არ იყო სამესხოსა და ლეჟავას რვაწლიან, ჩქვალერისა და ფახულის საშუალო სკოლებში.

შარშან ზამთრის პერიოდში გათბობის მთელი სიმძიმე ელექტრომომარაგებას დააწვა. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი კონტროლი დაუწესეს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომმარაგებელ ხარჯას, მაინც შეიქმნა დეფიციტი. მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა გადახარჯეს ელექტროენერგია. სოფელ ლიაში 14 კაცს მთელი ზამთრის განმავლობაში ოჯახებში მოწყობილი სასათბუროები. ლიტვაში წარმოებული და ვაჭრობისათვის მიწოდებულია 195 ათასი დეკალიტრი, ყაზახეთში — 18 ათასი, ესტონეთში — 13 ათასი დეკალიტრი ხილ-კენკრის ღვინოები. ეს პროდუქცია 100 ათას დეკალიტრზე მეტი დამოუშვეს სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებმა.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ (მინისტრის მოადგილე — ამხ. ს. დ. ალიოშინი) ჯეროვანი კონტროლი ვერ დააწესა, რომ დაეცვათ ღვინო-არყის ნაწარმის ვაჭრობის დადგენილი წესი, არ აღკვეთილა მაღაზიებსა და სახლგადოებრივი კვების საწარმოებში ამ პროდუქციის უფონდო მიწოდების ფაქტები. წლის პირველ ნახევრის შედეგების მიხედვით, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მოკავშირე რესპუბლიკებში სპირტიანი სასმელების გაყიდვის გეგმა გადაჭარბებით შეესრულებათ. იაკუტიის, ალტაისა და კრასნოდარის მხარეების ზოგიერთ რაიონში ტალონებითა და სიებით სპირტიანი სასმელების ვაჭრობის ფაქტები გამოვლინდა, რაც ეწინააღმდეგება პარტიის გადაწყვეტილებებს. ყაზახეთის სსრ აქტიუბინსკის ოლქში პრაქტიკულად გაუქმებულია ალკოჰოლიანი სასმელების ვაჭრობის ყოველგვარი შეზღუდვები. სავაჭრო ორგანიზაციებმა ეს პროდუქცია ოლქში დამატებით 2 მილიონი მანეთისა შეიტანეს. არაყს აქ სამუშაო და დასვენების დღეებში ყიდიან, ნიწყეს სპირტიანი სასმელების შეტანა მანამდე სიფხიზლის ზონებად გამოცხადებულ რაიონებში.

დადგინდა, რომ ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში გრძელდება სამრეწველო საწარმოების, საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებების, რკინიგზის საგზურების მახლობლად, აგრეთვე საკურორტო ზონებში ღვინო-არყის გაყიდვის მანკიერი პრაქტიკა.

1987 წლის პირველ ნახევარში დაშვებულმა ცალკეულ სახეობათა ღვინო-არყის ნაწარმის წარმოებისა და გაყიდვის ზრდამ შეასუსტა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის პროფილაქტიკისა და აღმოფხვრისათვის მუშაობა. ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში ყველა გამოჩნდნენ მთვრალები. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მთვრალი დაიკავეს 4,2 მილიონი კაცი. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ დაკავებულთა შორის 6,5 პროცენტი გაიზარდა ყმაწვილების რიცხვი. არ მცირდება იმ პირთა რიცხვი, რომლებიც სამედიცინო გამოსაფხიზლებლებში მიჰყავთ, აგრეთვე მძღოლებისა, რომლებიც სიმთვრალეში ახდენენ ავტოავარიებს. ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში შესუსტდა დისციპლინა, გახშირდა სმა წარმოებაში და განსაკუთრებით ოჯახებში, არ კლებულობს ლოთობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული. გაიზარდა ჟრყნა შინ გამოხდა და სპირტიანი სასმელების სპეკულაცია, გავრცელდა ნარკომანია და სხვადასხვაგვარი ალკოჰოლური სუროგატების მოხმარება.

ზემოაღნიშნულ თანამდებობის პირთა მიზეზით, ქმედითი ღონისძიებანი ვერ განხორციელდა ღვინო-არყის ნაწარმის გამომშვები საწარმოების პროფილის შესაცვლელად სასურსათო პროდუქციის გამომუშავების მიზნით. ცენტრალური და ადგილობრივი საბუთრნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა ვერ უზრუნველყვეს საცალო საქონელბრუნვის შეესება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობის გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე, აგრეთვე ფასიანი მომსახურების გაფართოება, რომელსაც მოსახლეობას უწევენ. პირველად მას შემდეგ, რაც პარტიამ და მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილებანი ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, ალკოჰოლიანი სასმელების შეძენაზე მოსახლეობის ფულადი ხარჯები გაიზარდა.

მოსახლეობა სრულიად სამართლიანად აღშფოთებულია იმით, რომ ცენტრალური დაწესებულებების ზოგიერთმა ხელმძღვანელმა, აგრეთვე ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა შეასუსტეს აქტიურობა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, უპრინციპობას იჩენენ თანამდებობის პირებისა და განსაკუთრებით იმ კომუნისტების მიმართ, რომლებიც ურიგდებიან ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის დარღვევებს. თავიანთ წერილებსა და განცხადებებში საბჭოთა ადამიანები ამ თვალტებს პარტიის პოლიტიკის სწორნაალმდეგად მიიჩნევენ, მათი აზრით, ეს აფერხებს ჩვენი საზოგადოების გარდაქმნისა და განახლების პროცესებს; ისინი მოითხოვენ მტკიცედ ხორციელდებოდეს ფხიზელი ცხოვრების წესის საყოველთაო დამკვიდრების კურსი.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა დარღვევისათვის სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიულ პასუხისმგებლობაში მისცა სკკპ წევრები — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ს. ჰ. პასკარი, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ა. ი. ივლევი, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნ. თ. კულინიჩი, სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ამხ. ს. დ. ალიოშინი, „ცენტროსოიუზის“ თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბ. ი. გონტარი. მკაცრად მიეთითათ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. თ. ჰ. ორუჯევს და ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ვ. ვ. ვახდოვს, აგრეთვე უკრაინის სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარეს ამხ. ი. ა. კოლომიეცს.

ცნობად იქნა მიღებული ამხანაგების ს. ა. პასკარის, ა. ი. ივლევის, ნ. თ. კულინიჩის, ს. დ. ალიოშინის, ბ. ი. გონტარის, თ. ჰ. ორუჯევის, ვ. ვ. ვახდოვისა და ი. ა. კოლომიეცის განცხადებანი, რომ ისინი დამატებითს ღონისძიებებს განახორციელებენ ამ გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიული კონტროლის კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს დაავალა განიხილონ იმ სხვა კომუნისტ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც უდისციპლინობა გამოიჩინეს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

„პრავდა“. 1987 წ. 31.X.


# ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

**საკძესი იუწყება**

31 ოქტომბერი


# ახალი დიალოგი უმაღლეს დონეზე

**ვაშინგტონი.** ქვემოთ იბეჭდება **საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი განცხადების ტექსტი:**

**იმ მიზნით, რომ განავითარონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის პროგრესი, კერძოდ, უმაღლეს დონეზე გამართული აზრთა გაზიარებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის ა. წ. 30 ოქტომბრის ვაშინგტონის შეხვედრის, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა დათქვეს გამართონ შეხვედრა შეერთებულ შტატებში 1987 წლის 7 დეკემბრიდან დაწყებული.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ახალი შეხვედრის შინაარსიან მოწყობას, რომელიც მოიცავს ორი ქვეყნის ურთიერთობის საკითხთა მთელ კომპლექსს — შეიარაღების შემცირებას, ადამიანის უფლებებსა და ჰუმანიტარულ საკითხებს, რეგიონალური კონფლიქტების მოწესრიგებას და ორმხრივი ურთიერთობის პრობლემებს და რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვან წინსვლას ამ საკითხთა მთელი დიაპაზონით.

მხარეებმა დათქვეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგის შემდგომი განვითარებისათვის მოქმედების გეგმა, კერძოდ, მორიგდნენ უმოკლეს ვადაში საბოლოოდ შეათანხმონ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების სრული ლიკვიდაციის ხელშეკრულება.

შეერთებულ შტატებში შეხვედრისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განსახილველ საკითხთა მთელი წრის დამტკიცით, ხელს მოაწერენ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების სრული ლიკვიდაციის ხელშეკრულებას; განსაზღვრავენ ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა მომავალი კონტაქტების დღის წესრიგს და ყოველმხრივ ფასინიხლავენ იმ საკითხს, თუ რა ინსტრუქციები მისცენ თავიანთ დელეგაციებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული შეტევითი იარაღის 50 პროცენტით შემცირების მომავალი ხელშეკრულების თაობაზე და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის ხელშეკრულების დაცვის და ამ ხელშეკრულებიდან **დათმენილი** ვადის გაწმაელობაში გამოუსვლელობის შესახებ მიღწეულ მორიგებასთან დაკავშირებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ითვალისწინებენ მომდევნო შეხვედრა გამართონ საბჭოთა კავშირში 1988 წლის პირველ ნახევარში, რომელზეც ასევე შეეცდებიან მიაღწიონ პროგრესს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მთელი სპექტრის გამო. ამ მიზნით მხარეები ხელს შეუწყობენ ხელშეკრულების უსწრაფეს შემუშავებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების მორიგების განსაზორციელებლად, რათა ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტის დროს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი შეთანხმებულად იმოქმედებენ, რათა უზრუნველყონ ვაშინგტონში მომავალი „უმაღლესი დონის შეხვედრის საგულდაგულო და ობერატიული მომზადება.

**ვაშინგტონი.** ქვემოთ **ეკითხება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის პროგრესი, კერძოდ, უმაღლეს დონეზე გამართული აზრთა გაზიარებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის ა. წ. 30 ოქტომბრის ვაშინგტონის შეხვედრის, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა დათქვეს გამართონ შეხვედრა შეერთებულ შტატებში 1987 წლის 7 დეკემბრიდან დაწყებული.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ახალი შეხვედრის შინაარსიან მოწყობას, რომელიც მოიცავს ორი ქვეყნის ურთიერთობის საკითხთა მთელ კომპლექსს — შეიარაღების შემცირებას, ადამიანის უფლებებსა და ჰუმანიტარულ საკითხებს, რეგიონალური კონფლიქტების მოწესრიგებას და ორმხრივი ურთიერთობის პრობლემებს და რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვან წინსვლას ამ საკითხთა მთელი დიაპაზონით.

მხარეებმა დათქვეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგის შემდგომი განვითარებისათვის მოქმედების გეგმა, კერძოდ, მორიგდნენ უმოკლეს ვადაში საბოლოოდ შეათანხმონ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების სრული ლიკვიდაციის ხელშეკრულება.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი შეთანხმებულად იმოქმედებენ, რათა უზრუნველყონ ვაშინგტონში მომავალი „უმაღლესი დონის შეხვედრის საგულდაგულო და ობერატიული მომზადება.

**ვაშინგტონი. პარასკევს ოთხ სახლში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან ე. ა. შევარდნაძესთან შეხვედრის დამთავრების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა გააკეთა განცხადება პრესისათვის.**

მან აღნიშნა, რომ მიღწეულია მორიგება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი შეხვედრა უმაღლეს დონეზე შეერთებულ შტატებში დაიწყოს 7 დეკემბერს. ჩვენ მოველით, თქვა მან, რომ ამ შეხვედრაზე ხელს მოაწერენ შეთანხმებას საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების მოსპობის შესახებ. როგორც შემდეგ პრეზიდენტმა განაცხადა, წერილში, რომელიც მას საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა გადასცა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი ბირთვული. შეიარაღების მემცირების სხვა საკითხებზე, რომლებიც უნდა განიხილოს მომავალი ვიზიტის დროს. „მე გულდასმით ვსწავლობ ამ წერილს, რომელიც გულახდილია და განმსჭვალულია ახალმოფიფრი ი აზროვნებით, — თქვა რეიგანმა. — მოუთმენლად ველი შესაძლებლობას, რომ მივესალმო მიხეილ გორბაჩოვს ვაშინგტონში და გავმართო მასთან ნაყოფიერი დისკუსია“.

**უშიშროების საბჭოში**

# გაკიცხეს სამხრეთ-აფრიკელი რასისტები

**ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ პარასკევს დაამთავრა ნამიბიაში შექმნილი ვითარების განხილვა. მიღებულ რეზოლუციაში უშიშროების საბჭოს წევრებმა გაკიცხეს რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ნამიბიის უკანონო ოკუპაციის განგრძობისა და უარისათვის შესასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი ნამიბიელი ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების თაობაზე.**

უშიშროების საბჭოს წევრებმა მოიწონეს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის (სვაპო) გადაწყვეტილება, რომ მზად არის ხელი მოაწეროს და დაიცვას შეთანხმება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, — რათა უზრუნველყონ უშიშროების საბჭოს 435-ე რეზოლუციის შესრულება, რომელიც შეიცავს ნამიბიაში დემოკრატიული არჩევნების მოწყობის გეგმას. უშიშროების საბჭოს წევრებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დავალეს შეუდგეს საჭირო ღონისძიების მომზადებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და სვაპოს შორის ცეცხლის შესაწყვეტად და უმოკლეს ვადაში წარუდგინოს უშიშროების საბჭოს მოხსენება მიღებული რეზოლუციის შესრულების მომდინარეობის შესახებ. კენჭისყრისას ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ თავი შეიკავა.

◆ **აშშ**

# პრეზიდენტის ტელეკამათი

**ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტის ექვსმა პრეტენდენტმა რესპუბლიკური პარტიისაგან ჰიუსტონში თავიანთი პირველი ტელეკამათი გამართეს.** ვიცე-პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, სენატორმა რობერტ დოულმა, კონგრესმენმა ჯეკ კემპმა, ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ალექსანდრე ჰეიგმა, ყოფილმა ტელემქადაგებელმა პეტ რობერტსონმა, ყოფილმა გუბერნატორმა პიერ დიუპონმა ორ საათში თავიანთი აზრი გამოთქვეს მთელი რიგი საგარეო-პოლიტიკური და საშინაო საკითხების შესახებ. ყველამ მხარი დაუჭირა პრეზიდენტ რეიგანის ეკონომიკურ კურსს, თუმცა ჰეიგმა თქვა, რომ „ჩვენ ბირთვულ საუკუნეში პირველად ვიშორებთ თავიდან ბირთვული იარაღის მთელ კლასს“.

**შემოსვევა**

# ჩაიძირა ბორანი

**დაკა. 500-ზე მეტი კაცი, მათ შორის ქალები და ბავშვები დაიღუნენ ბანგლადეშ

**რუსეთის** ფედერაცია — ეს არის 16 ავტონომიური რესპუბლიკა, 5 ავტონომიური ოლქი, 10 ავტონომიური ოკრუგი, 6 მხარე და 49 ოლქი, სადაც ცხოვრობს სსრ კავშირის მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

**გარდაქმნის** პროცესი, სადაც უნდა მიმდინარეობდეს იგი — მილიონიან ქალაქში თუ ჩვენი ქვეყნის დასალიერის დაბაში, ცელილებების ენერგიით აღსავსე დღეკანდელი დღეები თავისთანა რევოლუციური სულისკვეთებით, გადაწყვეტილებათა გაბედულებით და მასშტაბურობით ახლოს არის იმ დროსთან, როცა იბადებოდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო.

როცა იმ დროს ვიხსენებ, განსაკუთრებული სიამაყით მინდა გავუსვა ხაზი, რომ საბჭოთა ისტორიის ბევრი ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტი სწორედ რუსეთთან არის დაკავშირებული.

უწინარეს ყოვლისა ეს არის 1917 წლის ოქტომბრის დღეები პეტროგრადში, სადაც გაისმა „ავრორას“ ზალპი, სადაც სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე მიიღეს პირველი საბჭოთა დეკრეტები — ზავისა და მიწის შესახებ. მესამე ყრილობაზე კი დელეგატები მოესალმნენ ვ. ი. ლენინის მიერ მომზადებულ „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციის“.

როცა რუსეთის ფედერაციის 70-წლიან გზას ვიფიქრებ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ მისი როლი უწინარესად გამოვლინდა სსრ კავშირის შექმნაში ეკონომიკური ბაზის შექმნით. მაგალითად, ახლა მის ტერიტორიაზე აწარმოებენ საერთო-საკავშირო ელექტროენერგიის 60 პროცენტზე მეტს, ფოლადის, ჩარხმშენებლობის, ქიმიის პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს, იღებენ ნავთობისა და გაზის კონდენსატის 90 პროცენტზე მეტს. ამ ჩამოთვლამ, რომლის განგრძობა დიდხანს შეიძლება, უნდა გამოგვატანინოს ხმოლოდ ერთი დასკვნა იმის თაობაზე, თუ რამდენ დიდი და სერიოზულია ფედერაციისა და მისი მშრომელების როლი და პასუხისმგებლობა გარდაქმნის წარმატებების, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საქმეში.

წუხილით უნდა ვაღიარო, რომ ეგრეთ წოდებული უძრაობის პერიოდის წლებში გაიზარდა საწარმოო და სოციალური სფეროების შეუწონასწორებლობა, დაირღვა სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების უმნიშვნელოვანესი პროპორციები. რესპუბლიკამ ვერ შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი მთელი რიგი ძირითადი მაჩვენებლების მისაღწევით, მოსდა შეფერხებები შავი მეტალურგიის, ტრანსპორტის მუშაობაში, სათბობ-უნერგეტიკული ბაზის განვითარებაში.

ძირეული გარდაქმნები ეკონომიკის მართვაში დაიწყო. წელს რუსეთის სფსრ მთელი მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, აგროსამრეწველო კომპლექსი მუშაობენ მეურნეობრიობის ახალ პირობებში. მრეწველობის საფეიქრო და მსუბუქი დარგები კი გადავიდნენ თვითნაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე. შედეგმაც არ დააყოვნა: იანვარ-სექტემბერში სამრეწველო წარმოების მატებამ საგეგმოზე ბევრად მეტი — 4,6 პროცენტი შეადგინა.

დაჩქარების კონცეფციას ვუკავშირებთ რესპუბლიკის, და უწინარეს ყოვლისა, მისი აღმოსავლეთი რაიონების საწარმოო ძალების ინტენსიურ განვითარებას. როგორც ცნობილია, ამაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება ბაიკალ-ამურის მmagისტრალს. დიდი ხანია გაიხსნა სამუშაო მიმოსვლა ტრასაზე, მაგრამ რკინიგზის მოწყობა, ბაიკალ-ამურის magისტრალის ზონის სამეურნეო ათვისება შეუწყნარებლად ნელა მიმდინარეობს. ზოგიერთი სამინისტრო დღემდე სათანადო ენერგიით არ შესდგომია ამ სახელმწიფო ამოცანის გადაწყვეტას. უაირათიანად არ გამოიყენება შუნებრივი რესურსები. ეს ეხება, კერძოდ, ნავთობის, გაზის, მადნეულის მოპოვებას, მერქნის გადამუშავებას.

მორეული აღმოსავლეთისა და იმიერბაიკალის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების მაღალი მიზნები განსაზღვრა ახლახან მიღებულმა ამ რეგიონის საწარმო ძალების განვითარების 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსურმა პროგრამამ. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაევალათ მოკლე ვადაში მეიტანონ წინადადებანი მორეული აღმოსავლეთის ეკონომიკური რაიონის მართვის სრულყოფის შესახებ.

ათვისებული არ არის ბევრი რეზერვი რესპუბლიკის აგრომრეწვაში, თუმცა გარდაქმნის პროცესმა მასზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა. დღეს ამ კომპლექსში, რომლის ძირითადი საწარმოო უნიდებენ 200 მილიარდ მანეთს აღემატება, დასაქმებულია 15 მილიონი კაცი. მართვის რეფორმა აგრომრეწვაში დაიწყო წარმოების ძირითადი, პირველადი რგოლებით — რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებებით, კოლმეურნეობებით, საბჭოთა მეურნეობებით, საწარმოებით. მათ გადაეცათ დაგეგმვაში, მოგებისა და კაპიტალური დაბანდებების გამოყენებაში ზედა ეშელონების ბევრი ფუნქცია და უფლება. სორეფიელდება სხვა კონკრეტული ღონისძიებებიც.

როგორია ამ პროცესების პირველი შედეგები? რესპუბლიკის სახაგრომრეწვამ გასული წელი 17,5 მილიარდი მანეთი მოგებით დაამთავრა. მისი მეტი ნილი წარმოების გაფართოებასა და სოფლის სოციალურ განვითარებას მოხმარდა. მაგრამ ჩვენ, ვიმეორებ, მიგვაჩნია, რომ ეს მხოლოდ იმ დიდი და ურთულესი მუშაობის დასაწყისია, რომელიც უნდა შევასრულოთ.

პრობლემა ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. დღეკანდელ დონეს არ შეესაბამება მშენებლობა. სრულყოფა სჭირდება დაპროექტებას, საყოფაცხოვრებო მომსახურება, აგროსამრეწველო კომპლექსი მუშაობენ მეურნეობრიობის ახალ პირობებში. მრეწველობის საფეიქრო და მსუბუქი დარგები კი გადავიდნენ თვითნაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე. შედეგმაც არ დააყოვნა: იანვარ-სექტემბერში სამრეწველო წარმოების მატებამ საგეგმოზე ბევრად მეტი — 4,6 პროცენტი შეადგინა.

# სამშობლო ჩემო

**ფ. ტაბეევი,**
რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

...**მოსკოვის** დიდი ქარხნის დირექტორი რაიკომში მოვიდა, რათა ეთქვა: „ახლებურად ხელმძღვანელობა არ შემიძლია, გთხოვთ გადამაყენოთ“.

...**მორიგ** პლენუმზე დამსწრე კომუნისტთა უმრავლესობის აზრით — თავისებური მანდატით შეუდგა საქმეს პარტიის რაიკომის ახალი მდივანი: იგი ამ თანამდებობაზე აირჩიეს ალტერნატიული არჩევნების დროს.

...**ახლა** კვირაში ორჯერ ცარიელდება რაიკომის კაბინეტები: ყველანი მიდიან პირველადს ორგანიზაციებში — იქ, სადაც დღეს წყდება გარდაქმნის ბედი.

# კონკრეტულ საქმეთა ენერგია

**— სწორედ** ეს არის სიახლის დამახასიათებელი ნიშნები რაიონული პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში, — აღნიშნა კორეს-პონდენტთან საუბრისას პარტიის დედაქალაქის კალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. რუდაკოვმა. — წინათაც შეხდებოდა საწარმოებში ბინები. და საუნები, იქმნებოდა აუტოტრენინგის კაბინეტები, აერობიკის დარბაზები. მაგრამ ეს თითქოს სხვათა შორის კეთდებოდა, არ ითვლებოდა მთავარ საკითხად. ახლა კი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისაგან, ხელმძღვანელებისაგან მოვითხოვთ ზრუნვას ადამიანებისათვის, მოვითხოვთ, რომ სოციალური პრობლემების გადაჭრა უპირველეს ამოცანებად მიიჩნიონ.

ამის შედეგები კარგად ჩანს თუნდაც მეტალურგიულ ქარხანა „ნამგალსა და ურიაში“. მის ექტროფასონურ-სამსხმელო საამქროში შემცირდა კადრების დენადობა, გაუმჯობესდა ატმოსფერო კოლექტივში, გაიზარდა მისი შრომითი უკუგება.

— ვისწრაფვით მთელ რაიონში მივაღწიოთ ადამიანთა საქიროებებისაკენ შემობრუნებას, — თქვა ა. რუდაკოვმა. — და ეს, როგორც იცით, ადვილი არ არის. ადამიანის გუნება-განწყობილებას ხომ ბევრი რამ აყალიბებს: პროდუქტების ასორტიმენტი მაღაზიაში, საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხი, ტრანსპორტის მუშაობა... აი მაგალითი. თითქოს ნათელია, რომ ახლა მოსახლეობა უნდა უზრუნველყოთ კარტოფილით, ბოსტნეულით, მოვაწყოთ ვაჭრობა პირდაპირ საწარმოთა შესასვლელებთან. ზოგიერთი ხელმძღვანელი კი ნებისმიერი საბაბით ცდილობს გვერდი აუაროს ამ პრობლემას. დროა, ბოლოს და ბოლოს, ადამიანებს აღარ ვუყურებდეთ როგორც მატერიალურ ღირებულებათა მწარმოებლებს. დარწმუნებული ვარ: მილიარდ მანეთისაზე მეტი სასაქონლო პროდუქცია, რომელიც წელიწადში მზადდება რაიონში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შრომელებისადმი ყურადღების შესაბამისი ეკვივალენტით.

**— როგორ იგებთ, თუ რა აინტერესებთ რაიონის მშრომელებს?**

— ვცდილობ დიდხანს არ ვიჯდე კაბინეტში. ახლახან დავბრუნდი „ლითონსასმელის“ ქარხნიდან. თავად დავრწმუნდი — უნდა მივაღწიოთ, რომ აქ მოასფალტდეს ეზო. წვრილმანია? ნუ იტყვით! შექმნილ ვითარებაში უკეთ ორიენტირებაში გვეხმარება პლენუმებისა და ბიუროების გამსვლელი სხდომებიც. სამჯერ გვქონდა თავისებური დიალოგი ტელეფონით მცხოვრებლებთან. დავდგით ათი აპარატი, რომლებითაც რამდენიმე საათში რაიკომის მდივნებმა, ალმასკომის ხელმძღვანელებმა მიიღეს 450-მდე შეკითხვა! ბიუროს ზოგიერთი სხდომა ახლა ჩვენთან იმართება უოქმოდ, თავისებური გულღია საუბრის სახით. ასეთ შეხვედრებზე უაღრესად ბევრ ინფორმაციას ვიღებთ. ახლა სავალდებულოდ მიგვაჩნია, სანამ განვსაზღვრავდეთ მოქმედების რაიმე პროგრამას, მოვეთათბიროთ აქტივსაც, რიგითს კომუნისტებსაც.

**— როგორ ჩამოაყალიბებდით** ყველა მიმართულებას. ავამაღლეთ ინსტრუქტორის პრესტიჟი, გავხადეთ იგი უნივერსალი. იგი ახლა პირველადს ორგანიზაციას კომპლექსურად კურირებს. უფრო სრულად და ღრმად სწავლობს ჩვენი წარმომადგენელი ადგილებზე მდგომარეობას, ეხმარება ნაკლოვანებების უფრო სწრაფ აღმოფხვრაში, უფრო ზუსტად აკონტროლებს პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებას და პასუხს აგებს პირველადი ორგანიზაციის საქმიანობის ყველა შედეგისათვის.

ორჯერ შემცირდა ბიუროს სხდომების რიცხვი, ამდენივეთი — განსახილველ საკითხთა რაოდენობა და შესაბამისად მისაღები დოკუმენტები. საქმის ანალიზისათვის ვიწვევთ მეცნიერ სოციოლოგებს, ფილოსოფოსებს, საზოგადოებათმცოდნეებს. პრაქტიკაში დავნერგეთ რაიკომის წევრთა ანგარიშები. ეს მათ აიძულებს მეტი დრო მოახმარონ კონკრეტულ მუშაობას, და თავიანთი მოვალეობა არ მიიჩნიონ თანამდებობის საპატიო დანამატად.

**— რა გაწუხებთ განსაკუთრებით?**

— აზროვნების არასაკმარისი ენერგიული გარდაქმნა — ერთ-ერთი დამამუხრუჭებელი ფაქტორი. მთლიანად ვერ ვაღწევთ თავს წინანდელ ფსიქოლოგიურ დებულებებს, დრომოჭმულ, კაბინეტურ სტილს. სხვადასხვა რანგის 37 ხელმძღვანელმა ამ ბოლო დროს დატოვა თავისი პოსტები, მათი ადგილები დაიკავეს ენერგიულმა, საქმის მცოდნე ადამიანებმა.

ჯარდაქმნა რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში ეს-ეს არის დაიწყო. უნდა ვაღიაროთ, რომ იგი ჯერ კიდევ ყოველთვის თანამდევრულად და ენერგიულად როდი მიმდინარეობს. მაგრამ პრობლემებს გულახდილად და თვითკრიტიკულად განვიხილავთ. კომუნისტები იწონებენ ჩვენი სიახლეების უმრავლესობას, შემოაქვთ თავიანთი წინადადებანი. სწორედ ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობა მიგვაჩნია ჩვენს ძალად.

**სურათებზე:** ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი რუბეუნაიას ქუჩაზე. დღეს იგი ზუსტად ისეთივეა, როგორიც 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში იყო, როცა აქ კონსპირაციულ პირობებში ცხოვრობდა და მუშაობდა რევოლუციის ბელადი; ლენინგრადში ბალტიის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთსაშენში აგებენ ატომური ყინულმჭრელის კორპუსს, რომელსაც „ოქტომბრისკაია რევოლუცია“ ეწოდა; ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაიწყო ტრადიციული „დეკემბრის საღამოები“. მრავალფეროვან პროგრამაში არის პოეტური შეხვედრებიც დევიზით „XX საუკუნის რუსული და ევროპული პოეზია“. გამოდის ევგენი ევტუშენკო.

(საკადრისო ფოტოკრონიკა).

## ნიკოლოზ დორიზო

# ჩემი სიყვარული

ჩემი სიყვარული
შეუცნობელია,
როგორც საოცარი
ენა დელფინების,
ჩემი სიყვარული
ციდან მოფრენილა,
წმინდა თვალთა შუქით
ველებს ეფინება.

ჩემი სიყვარული
პრეისტორიული —
ძველი ფლეიტაა
ნაპოვნი მიწაში,
ჩემი სიყვარული,
როგორც ორიონი
არის ვამეენის
მირაჟი.

ჩემი სიყვარული
უდაბნოს მირაჟია,
ანდა ხომალდია
უცნობი პლანეტიდან,
ჩემი სიყვარული
ცისფერ მინაშია,
დილის ცვარ-ნამივით
რტოს რომ დაეკიდა.
ჩემი სიყვარული
უცნობი გენია,
იდუმალია და
ჯერ შეუცნობელი,
ჩემი სიყვარული
მარტოდენ შენია,
მომავალ საუკუნის
მესტატეის მოელის.

ჩემი სიყვარულის
ფორმულას ალქიმიურს,
ოდესმე აღმოაჩენს მავანი,
ჩემი სიყვარული
ჩემი აქმაა,
ჩემი გულია და
გზის შთამომავალი.

დროს არ სჩვენია
უკან დაბრუნება,
ჩემი სიყვარული
არ არის სტუმარი,
იგი შეინახე,
დიადო ბუნებავ,
მარად შეუცნობლად,
მარად იდუმალი.

თარგმნა
**ბივი ალხაზიშვილმა.**

# რუსეთი—საქართველოს, საქართველო—რუსეთს

◆ **შორეული** ისტორიული წარსულიდან იღებს სათავეს ქართველი და რუსი ხალხების ტრადიციული თანამშრომლობა და მეგობრობა. ჯერ კიდევ XV საუკუნის მიწურულისათვის ჰქონდათ დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვის სამთავროსა და კახეთის სამეფოს, მის შემდეგაც, უკიდურესი გაჭირვებისას, მხოლოდ ერთ-ორწმუნე რუსეთი იყო ქართველი ხალხის საიმედო დასაყრდენი და იმედი. და უმთავრესად სწორედ ამ მჭიდრო კავშირმა გადაარჩინა ქართველი ერი ფიზიკურ განადგურებას.

◆ **მაბრამ** ამ ორი მოძმე ხალხის ურთიერთობა ჯეშმარიტად დემოკრატიული, ნამდვილად უანგარო და კეთილმოსურნე გახდა მხოლოდ დიდი ოქტომბრისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ცნობილია, რაოდენ დიდი ყურადღებით ეკიდებოდა რევოლუციის ბელადი ვ. ი. ლენინი საქართველოს ინტელიგენციასა თუ გლეხობას, როგორ ზრუნავდა იგი რესპუბლიკის ეკონომიკის წინსვლა-განმტკიცებისათვის.

◆ **პრაქტიკულად** არ არსებობს სახალხო მეურნეობის, კულტურის, ხელოვნების, საერთოდ, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის არც ერთი დარგი, სფერო თუ უბანი, სადაც დასაქმებულ ამ ორი ერის წარმომადგენლებსაც ძალზე მჭიდრო თანამშრომლობა და მეგობრობა არ აკავშირებდეთ. ეს განსაკუთრებით ითქმის ჩვენს ლიტერატურულ ურთიერთობებზე.

◆ **თავიანთ** ლექსებში საქართველოს ხშირად იხსენიებდნენ XVIII საუკუნის რუსი პოეტები ი. ბოგდანოვიჩი, ვ. მაიკოვი, მ. ხერასკოვი და სხვები. ქართული მოტივები ბლომად არის ა. რადიშჩევის, ა. შიმკოვის, ა. გრიბოედოვის, ვ. კიუხელბეკერის, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის და სხვა გამოჩენილ რუს ხელოვანთა ნაწარმოებებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია XIX საუკუნის სამოციანი წლები, როდესაც, როგორც დიდი ილია წერდა, „რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო გონებასა და გამოკვეთა ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“.

◆ **დიდი** ოქტომბრის შემდეგ ეს თანამშრომლობა და მეგობრობა კიდევ უფრო მჭიდრო და ინტენსიური გახდა. საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნ. ტიხონოვის, ბ. პასტერნაკის, ნ. ზაბოლოცკის, ბ. ახმადულინას, ა. ვოზნესენსკის, ე. ევტუშენკოს, კ. სიმონოვის, ა. ანტონოვსკაიას და სხვათა შემოქმედებაში.

◆ **საქართველოს** და მისი ლიტერატორების შემოქმედებას საბჭოთა რუსეთის მშრომელები იცნობენ თავიანთ მშობლიურ ენაზე ქართველ ხელოვანთა შესანიშნავად თარგმნილი ნაწარმოებებითაც. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ დავასახელებთ მხოლოდ ოთხმოციან წლებში შესრულებულ რამდენიმე თარგმანს. დროის ამ მონაკვეთში რუსეთში გამოიცა მ. მაჭავარიანის, შ. ნიშნიანიძის, გ. ტაბიძის, ო. ჭილაძის, ვაჟა-ფშაველას, ი. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, ნ. დუმბაძის, გ. ლეონიძის, ჭ. ამირეჯიბის, ი. ნონეშვილის, გ. დოჩანაშვილის ო. ოსელიანის, რ. მიშველაძის, მ. ფოცხიშვილის, ა. ცულაკაურის, და სხვათა ნაწარმოებები.

◆ **ამავე** პერიოდში ქართულად ითარგმნა და გამოიცა ე. ევტუშენკოს, ს. ესენინის, რ. კაზაკოვას, ვ. კატაევის, ა. კუპრინის, ნ. ნაგიბინის, ს. ბელიაევის, ვ. ასტაფიევის, ს. აქსაკოვის, მ. ბულგაკოვის, ა. გაიდარის, მ. გორინის, დ. გრანინის, ვ. შუკშინისა და სხვათა საუკეთესო ქმნილებანი.

◆ **საუკუნეთა** წიაღიდან მოდის კულტურისა და ხელოვნების დარგის თანამშრომლობაც. ამის მაგალითია თუნდაც კიევის რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობაც, მეთერთმეტე საუკუნეში კიევ-პეჩერის ლავრის მთავარი ეკლესიის მოზაიკის შექმნაში ქართველი მხატვრებიც მონაწილეობდნენ. რუსეთის აკადემიებში სწავლობდა შემდგომში ფუნჯისა და საჭრეთლის ბევრი ისეთი გამოჩენილი ქართველი ოსტატი, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ა. ბერიძე, გ. გაბაშვილი, მ. თოიძე, ა. მრავლიშვილი, ი. თოიძე და სხვები. ქართველ ხელოვანთა მრავალი ნამუშევარი ამშვენებს რუსეთის ქალაქებს.

◆ **ძალზე** ბევრი ანალოგიური მაგალითის მოყვანა შეიძლება კინოდან, ბალეტიდან, ოპერიდან, თეატრიდან. რუსეთის სფსრ თეატრები ხშირად დგამენ ქართველი დრამატურგების ნაწარმოებებს, ამასთანავე აქ სპექტაკლები დაუდგამთ გ. ლორთქიფანიძეს, დ. ალექსიძეს, თ. ჩხეიძეს და სხვა ქართველ რეჟისორებს. ხშირია შემოქმედებითი კოლექტივების გაცვლა, გასტროლები. მჭიდრო კონტაქტებია მეცნიერებასა და ტექნიკაში, განათლების სისტემაში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

◆ **ძალზე** მჭიდროა ეკონომიკური თანამშრომლობაც. ჩვენი რესპუბლიკის საწარმოები მუშაობენ საბჭოთა რუსეთიდან შემოტანილი ნედლეულით, მანქანა-დანადგარებითა და მოწყობილობით, იქიდანვე ვღებულობთ მრავალი სახეობის პროდუქციას, მოწყობილობას, ინსტრუმენტებს, საშენ მასალებს და მრავალ სხვა ნაწარმს, ურომლისოდაც უბრალოდ შეუძლებელია სახალხო მეურნეობის ბევრი დარგის ნორმალური ფუნქციონირება. ამდენად მათი ჩამოთვლა, გარდა იმისა, რომ ძნელია, არც არის საჭირო.

◆ **თავის** მხრივ, საქართველო საბჭოთა რუსეთის საწარმოებს აწვდის ავტომანქანებსა და ავტომისაბმელებს, ელექტრომზომებელსაწყობებს, სამთო და მაგნიტრალურ ელმავლებს, ელექტროურიკებს, კუშეტურა ამწეებს, ტრანსფორმატორებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, ამწეთა ელექტროძრავებს, ლითონსაჭრელ ინსტრუმენტებს, საღებავებს და მრავალ სხვა ნაწარმს.

# ყალმუხეთის ოქროს საწმისი

**კასპიისპირეთისათვის** კოლორიული მაჩვენებელი — 20 კილოგრამი ცხვრის წმინდა მატყლი სტანდარტული ნორმა გახდა სსრ კავშირის 70 წლისთავის სახელობის ჯიშთსანაშენე ქარხნის მ. ნაქმეტდინოვის მწყემსთა ბრიგადისათვის.

თითქმის მეოთხედი საუკუნეა გულმოდგინედ ეწევიან სასელექციო მუშაობას მეცხვარეები. მათ გამოიყვანეს პირუტყვის თავიანთი, ყალმუხური ტიპი, რომელსაც აქვს უფრო წმინდა და მტკიცე მატყლი. მილიონზე მეტმა ასეთმა ცხვარმა შეავსო არა მარტო ყალმუხეთის, არამედ დაღესტნის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, სტავროპოლისა და სხვა რეგიონების მეურნეობათა ჯიშთსანაშენე ფერმები.

წმინდასაწმისიანი მეცხვარეობა ყალმუხეთის სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგია. რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციიდან ერთ-ერთ პირველი ადგილზეა კამოლური მრეწველობისათვის ყვირფასი ნედლეულის წარმოებით.

# ბოდის იაკუტიის ქვანახშირი

**ასი** დღე-ღამე შეუძლია იმუშაოს ნერიუნგრის ელექტროსადგურს ზეგეგმითი ქვანახშირით, რომელიც იაკუტიის მეშახტეებმა მიმდინარე წლის — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წლის დამდეგიდან მოიპოვეს.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ამ ყველაზე ჩრდილოეთ ავტონომიურ რესპუბლიკაში სათბობის მოპოვება თხუთმეტჯერ გაიზარდა. ამ ხნის მანძილზე მხარე იქცა შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში ქვანახშირის ერთ-ერთ წამყვან მიმწოდებლად.

საბრეთ იაკუტიის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის დედაქალაქი — ნერიუნგრი და ძირითადი სამრეწველო საწარმოები აშენებულია ქვეყნის ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქისა და მხარის მონაწილეობით. ახალგაზრდა ქალაქში სამოცდათორმეტ მეტი ერი ცხოვრობენ და შრომობენ.

# ვიდ საათოგრიგ სარტყელს მიღმა

ათი ათას კილომეტრს იგი 144 საათში, ანუ ზუსტად ექვს დღე-ღამეში გადის. მგზავრობის დრო წლითიწლობით მცირდება. მალე იგი კიდევ მთელი დღე-ღამით შემეცირდროვდება.

საბჭოთა კავშირში ასობით საფირმო მატარებელია, მაგრამ მათ სიაში „რუსეთი“ პირველ ადგილზეა. და არა მარტო იმიტომ, რომ გადის რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიას მოსკოვიდან იაპონიის ზღვამდე. „რუსეთი“ სანიმუშო და ამავე დროს ექსპერიმენტული ფატარებელია, ექვე გაისად შემადგენლობას მიაბამენ საყოფაცხოვრებო ვაგონებს, სადაც მგზავრები შეძლებენ დაიუთოონ ტანსაცმელი, მიიღონ შხაპი, ნახონ ვიდეოფილმი და წაიკითხონ წიგნი. არც ისე დიდი ხნის შემდეგ ყოველ კუპეში იქნება ფერადი ტელევიზორი, რადიოტელეფონი.

ჯერჯერობით კი „რუსეთი“, ისევე როგორც მთელი ქვეყანა, ემზადება დიდი ოქტომბრის რეკოლუციის 70 წლისთავის შესახვედრად. განსაკუთრებით გაუმართლებთ იმ მგზავრებს, რომლებიც შეიძენენ ბილეთს 24 ოქტომბრისათვის. ამ დღეს „რუსეთი“ განსაკუთრებით მორთულ-მოკაზმული იქნება. მატარებელს მომსახურებიან ჯამცილებლები — 15 მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები. მგზავრები იგემებენ უკრაინულ, სომხურ, უზბეკურ და სხვა კერძებს.

7 ნოემბერს 15 საათსა და 50 წუთზე „რუსეთი“ მოსკოვში დაბრუნდება, იჩქარებს ჩამოიყვანოს მგზავრები რევოლუციის იუბილესადმი მიძღვნილ დღესასწაულზე.

# ლაპარაკობენ საზღვარგარეთელი სტუმრები

**საბჭოთა** რუსეთზე საუბარი სრული არ იქნებოდა, საზღვარგარეთელი სტუმრების აზრი თუ არ მოვიყვანეთ. უნდა დავძინოთო, რომ ბევრი მათგანისათვის სახელწოდება რუსეთი შეიცავს ცნებას არა ერთი რესპუბლიკის, არამედ მთელი ჩვენი დიდი კავშირის შესახებ. ამიტომ გამოხმაურებებშიც, თუმცა ისინი რუსეთის ქალაქებშია აღებული, ჩანს სტუმრების დამოკიდებულება საბჭოეთისადმი და მთლიანად მისი ხალხისადმი.

**დავიწყოთ** მოსკოვით. საკდესის კორესპონდენტი ესაუბრა იტალიელ ჯ. **ჩემინოს.** პატარა ქალაქ ებოლიდან ჩამოსულმა სკოლის მასწავლებელმა ჩვენს დედაქალაქში დაახლოებით ორი თვე გაატარა. იგი რუსულ ენაში იწოფებოდა. როგორც მან აგვიხსნა, რუსული ენა ძალიან უყვარს.

— ყველაფერი ბავშვობაში დაიწყო, როცა ასე, თორმეტი წლის ვიყავი, — თქვა მან. — ავად გახლდით, შინიდან ვერ გამოვდიოდი და მწყინდებოდა. როგორღაც ედმონდ მომიტანა პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“. რა ოქმა უნდა, იტალიურად თარგმნილი. პუშკინმა გამიტაცა. შემდეგ დავიწყე მისი სხვა ნაწარმოებების ძებნა და კითხვა. როცა სტუდენტობის ხანა დადგა, გადავწყვიტე შევსულიყავი უნივერსიტეტში, რუსულ განყოფილებაზე. კლასიკოსებიდან კიდევ ძალიან მიყვარს ბუნინი, ბლოკი. თანამედროვეებიდან — შუქშინი, რასპუტინი... მეგობრები თქვენი ქვეყნის კარგ ცოდნედ მთვლიან, რადგან იციან, რომ ყველაფერს თვალს ვადევნებ, რითაც იგი ცხოვრობს. ხშირად მაყრიან კითხვებს. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, როცა სსრ კავშირში დაიწყო გარდაქმნა. იტალიაში მისდამი დიდ ინტერესს იჩენენ. ხალისით ვესაუბრები იტალიელებს თქვენი ცხოვრების განახლებაზე. და ამასთან ყოველთვის რწმენით ვამბობ, რომ თქვენ არ გადაუხვევთ არჩეულ გზას. უკვე გავიგე თქვენი ხალხის ხასიათი...

თუ იტალიელი ჩვენს ქვეყანაში ჩამოიყვანა რუსული ენის, ჩვენი ხალხის კულტურის სიყვარულმა, შვეიცარიელი სპეციალისტის რ. პიჩენელის ჩამოსვლა ტექნიკის დარგში ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითია. იგი ვოლგის ძველ ქალაქ იაროსლავლში ჩამოვიდა აქაური დიზელის აპარატურის ქარხნისათვის შვეიცარიის ფირმის მიერ დამზადებული მოწყობილობის დასამონტაჟებლად. აი მისი შთაბეჭდილებანი:

— იაროსლავლი ლამაზი ქალაქია. მე ძველი ცენტრიც დავთვალიერე და საცხოვრებელი სახლების უდიდესი მშენებლობაც ახალ უბნებში. ქარხნის სამკრეფიოში ვნახე თანამედროვე ტექნოლოგიური დონის ჩარხები და, რაც მთავარია, ადამიანები, ჩვენნაირი ადამიანები, რომლებიც უნარიანად და წიგნიერად ერკვევიან ტექნიკაში, არიან კეთილმოსურნენი, მეგობრულები.

ცოტა ხნით შევწყვიტოთ ეს შთაბეჭდილებანი. ადვილი სავარაუდოა, რომ შვეიცარიელის უკანასკნელმა სიტყვებმა ზოგიერთი მკითხველის ეროვნული განაწყენება გამოიწვიოს. ამერიკა ხომ არ აღმოუჩენიაო, მაშ, რის ნახვას აპირებდა აქ? როგორც ჩანს, სტუმარმა მართლაც ცოტა რამ იცოდა ჩვენზე, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ ბრალი დავდოთ მას ამაში. უპირატესად ამის მიზეზია დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც წლების მანძილზე ან არაფერს ამბობენ ჩვენს შესახებ, ან ქმნიან წინასწარ აკვიატებულ წარმოდგენას. ამას წინათ საკდესის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ დასავლეთის ერთ-ერთი სახელმწიფოს ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემაც კი არ იცოდა სსრ კავშირის აქტუალური პოლიტიკური აქციის ამბავი, რომელიც მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის განხილვის საგანი გახდა. რაღა უნდა ვთქვათ უბრალო ადამიანებზე...

მაგრამ, მოდით, განვაგრძოთ შვეიცარიელი ელექტრიკოსის შთაბეჭდილებანი:

—უნდა განვავითაროთ საქმიანი კონტაქტები და ყოველგვარი სხვა კონტაქტებიც — ტურისტული, კულტურული. უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს — ნაკლები იქნება ყოველგვარი გაუგებრობა. ჩემი პროფესია საშუალებას მაძლევს ვეწვიოთ სხვადასხვა ქვეყანას. და მე სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ადამიანები ბევრ რამეში მსგავსი საზრუნავით ცხოვრობენ. მათგან მთავარია ქვეყნად მშვიდობა.

აქ უკვე შეგვიძლია სიტყვა მივცეთ ვოლგოგრადის საზღვარგარეთელ სტუმრებს:

**ფ. ბუახე (საფრანგეთი):** — როცა მამაის ყორღანს ნახავ, გულით მიხვდები, რას ნიშნავს საბჭოთა ხალხის დიდი მსხვერპლი, რომელიც მან მარტო თავისი ქვეყნის ფაშიზმისაგან განთავისუფლებისათვის როდი გაიღო, და რატომ ესწრაფვიან საბჭოთა ადამიანები ასე ძალიან მშვიდობის შენარჩუნებას.

**ე. ნეტი (განა):** — ვოლგოგრადის მემორიალები ასწავლიან მომავალ თაობებს გაუფრთხილდნენ მშვიდობას. აქ უფრო ღრმად ვრწმუნდები სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის გულწრფელობაში.

დასასრულ ერთი ციფრი: ყოველწლიურად ჩვენს ქვეყანაში ჩამოდის 5.000.000-ზე მეტი საზღვარგარეთელი სტუმარი. და ეს ნაკადი ნიადაგ იზრდება.

# პირველობს „რუსეთი“

**კალუგის** ოლქში დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებას მტკიცედ ლიდერობს კოლმეურნეობა „რუსეთი“. იგი უკ

# გუშინ, დღეს, ხვალ

**ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი**

**ზუგდიდში** საზეიმოდ გაიხსნა ილია ჭავჭავაძის ბიუსტი, რომლის ავტორია მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილი. ზუგდიდელებს, და ამ ზეიმში მონაწილე სტუმრებს

**ღირსსასლოვარი დღე**

მიიღოცეს ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. ჭითანავამ, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და სხვებმა.

▼ ▼

**ამ დღეებში** სამხრეთ ოსეთის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში

**ახალი სეზონი დაიწყო**

ოსურმა დასმა. იგი გაიხსნა ოსი მწერალი ქალის ეზეტხან ურუმიგოვას ტრაგედიით „სანიათი“. ქართულმა დასმა კი აჩვენა აკაკი გეწაძის დიდი სამმაგული ომის თემაზე დაწერილი პიესა — „მე გავქვავდები ქანდაკებად“.

▼ ▼

**ხვალ** თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება პოლონელი კომპოზიტორის ქშიშტოფ მიეერის

**საავტორო კონცერტი**

საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ სიმფონიურ ორკესტრს, რომელიც პოლონელი მუსიკოსის ნაწარმოების ინტერპრეტატორი იქნება, უხელმძღვანელებს პოლონელი დირიჟორი ვოიცეხ მიხნევსკი.

▼ ▼

**საქართველოს** რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფი კიევს გაემგზავრა ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა ფილმების

**ტრადიციულ ფესტივალზე**

ახლანდელი ფესტივალი—„ახალგაზრდობა—87“ ეძღვნება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს.

▼ ▼

**ეს ინფორმაცია უთუოდ** დაინტერესებს სახვითი ხელოვნების მოყვარულთ. ხვალ 17 საათზე

**მხატვრის სახლში**

გაიხსნება ბულგარელი მხატვრის დიმიტრი კიროვის ნამუშევართა გამოფენა.

## ანონიმმთხზველთა საყურადღებოდ!

**ზოთა** ბოჭორიშვილს ცუდ გუნებაზე გაეღვინა — სიზმარი ნახა უცნაური: თხუნელა იყო ვითომ და მიწაში იმალებოდა. არა, თხუნელა კი არ იყო, კაცი იყო თხუნელას ტყავში თავით ფეხამდე გახვეული, იწვა მიწის ქვეშ და ჩუმად, უხმაუროდ ჩუღნიდა მიწას.

საკვირველი ის იყო, რომ თავისი მდგომარეობა სულაც არ აწუხებდა, მოსწონდა კიდეც, იწვა თავისთვის გატრუნული და აგუნდავებდა მიწას. ზემოთ კი მზე დაანათოდა ქვეყანას, ბიბინებდა ბალახი, შრიალებდა ხეები, მიმდიოდა ხალხი... ნათლად ხედავდა აქედან ყველაფერს, თითქოს დედამიწა გამჭვირვალე ყოფილიყოს. თავად კი უჩინარი იყო, ინუნშიც არავინ აგდებდა, რა სჯობდა ასეთ ყოფას, იწეკი ბნელში საიდუმლოდ და აკეთე შენი საქმე.

ამის გაფიქრება იყო და, ზემის ყურის ძირთან ბარი დაჭკრა ვიღაცამ, დიდი ბეტონი ამოაბრუნა და თხუნელას ქუჩქში გახვეული ბოჭორიშვილიც თან ამოიყოლა...

გდია მზის გულზე, გაშხვართული და ხმას არ იღებს, არ ინძრევა. მაშინ მიუახლოვდა ის ბარიანი კაცი, მოჰკიდა კუდში ხელი, უჩინა თვალი ქუჩქს, იპოვა ძაფის წვერი, მოიმარჯვა თითისტარი და დაიწყო ამოხვევა, თითქოს თხუნელას ტყავი ღაზლის ქსოვილი ყოფილიყოს...

# თხუნელა

**ფილეტონი**

ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა, რა არ დაესიზმრება კაცს.

ჯერ ისევ ღამე იყო, სადღაც ახლოს მეზობლის მამალი ყიოდა, სხვა მამლების შორეულ ყივილს ეხმიანებოდა დროგამოშვებით. შოთა ბოჭორიშვილმა გვერდი იცვალა ლოგინში და კვლავ დაძინება სცადა, მაგრამ არ დაეძინა.

არა, თხუნელა რამ დაესიზმრა, კაცო?! ან თხუნელას ტყავში როგორ ჩაეტია ეს ამოდენა კაცი!

— ჩმახია სიზმარი, — ხმამაღლა გაიმეორა მან და ისევ ძილს მისცა თავი, მაგრამ არა და არ ეძინებოდა. ფიქრი კვლავ სიზმრისაკენ გაურბოდა. დაწვრილებით იხსენებდა ყოველ დეტალს.

ჰო მართლა, თითისტარი რომ ეჭირა იმ უცნაურ კაცს და თხუნელას ტყავს ძაფად ახვევდა ზედ, მართლა თითისტარი კი არ იყო, საწერ-კალამი იყო, თეთრი, ბურთულიანი საწერ-კალამი, ი ისა, როდესითაც შოთა ბოჭორიშვილი ღამღამობით საჩივრებს წერდა, რაღა თქმა უნდა, ანონიმურად, ხელს არ აწერდა: „ჩემი მტერი ენდო მაგენსო“.

სწორედ ამ კალმით დაუწერა ანონიმური საჩივარი ბუხუტი ორჯონიკიძეს, პარტიის ტყიბულის ქალაქკომის ყოფილ მეორე მდივანს, ახლა განათლების განყოფილების გამგედ რომ მუშაობს და თავიც მოაქვს: თუ ვინმეკა ამ თანამდებობაზე გამორჩეული, მეც ვარო, და უჯერებენ კიდეც, გარდამავალი დროშა მისაცეს განყოფილების ოთხჯერ ზედიზედ.

დაუწერა საჩივარი, აბა რა ეგონა მაგას, შეარჩენდა? ეგ. არ იყო, „ბენზოკალონკიდან“ რომ გამოაბუნძულა! კი, ბუხუტი ორჯონიკიძის დავალებით გამოადგა სამსახურიდან, კრება მოაწვევინა ავტოსატრანსპორტო საწარმოში ბოჭორიშვილის საწინააღმდეგოდ, ვითომ რაო და, მძღოლები მოითხოვენ, მოგვაშორეთ ეს კაცი „ბენზოკალონკიდან“, გაგვძარცვა, გაგვატყვა, მეტი აღარ შეგვძლიაო, ზედმეტს გვაზდევინებს, ბენზინს გვაკლებს, უხარისხოს გვაძლევს, ძროვები გაგვიფუჭდაო... თვითონ ორჯონიკიძე დაესწრო ამ კრებას და ხატყვითაც გამოვიდა, მოგაშორებთო ბოჭორიშვილს, დაპირდა, მერე ადგა და საქალაქო გაზეთ „ტყიბულელში“ გამოაქვეყნებინა ამ კრების ანგარიში, თავი მოჭრა კაცს ქვეყანაში და ის იყო სამსახურიდანაც მოხსნეს. ფულს შოულობსო, და შურით ვერ აპატიეს... უმრომელი შემოსავალიო, მოიგონებენ რაღაცას!.. შრომით და ოფლით ვის უშოვია სამყოფი ფული, ცოტა თუ არ იეშმაკე და იმამაძღლე, ისე ვინ მოგაშავგზს რამეს. ფული თუ გაქვს, ისევ მაგენს არ ვაჩმარ, როცა საჭიროა! კონტროლს, ექსპერტს, რევიზორს რომ მიგზავნიან, რით ვაჩუმებ? ფულით, ფულიანი ხარო! უფულო კაცი არ დაწვი ცეცხლში! გეყოფა ანლაო, და გამოადგეს, კი, ბუხუტი ორჯონიკიძემ მოუწყო ყველაფერი, ის იყო მოთავე... დამღუპეს და ამომაგდეს კაცი, ბავშვი გაიტანა მანქანამ, რომელსაც მართავდა ბუხუტი ორჯონიკიძე, განათლების განყოფილების გამგე, ყოფილი რაიკომის მეორე მდივანი, კაცი ავტორიტეტული, მოხერხებული და კვაჭი. დამარცხებული ბავშვი მიიყვანა ბინაზე. გარდაცვალების შემდეგ ვეღარ უპატრონა. ერთ ღამეს გამოიყვანეს ბინიდან და ჩაგდეს აუზში, რომელი აუზიც ადრე რამდენჯერმე შეამოწმეს, მაგრამ მასში არაფერი არ იყო. ჩამოსულმა ექსპერტებმა კი დაადგინეს, რომ ბავშვი აუზში დამბრჩვალაო. სწორია მერე ეს ექსპერტები? არა, სინამდვილე ისე იყო, როგორც ზემოთ არის აღწერილი. საქმის მცოდნე“.

გაჭრა, მარა რა გაჭრა ანონიმურმა წერილმა! მთელი ტყიბული ამაზე ლაპარაკობდა, ერთი მითქმა-მოთქმა ატყდა ქალაქში, ჭირისუფალი ხომ მთლად გადაირია და შეიშალა. ლამის იყო მოსაკლავად არ მიეგარდნენ ბუხუტი ორჯონიკიძეს! საგამოძიებო ორგანოებიც დაინტერესდნენ და ალბათ ბევრ სიმწრის ოფლსაც აღენდნენ ბუხუტს, მაგრამ ძაღლის იობალი რომ ექნება კაცს, სწორედ იმ პერიოდში, ეს ამბავი რომ მოხდა სა[illegible] არ იმყოფებოდა თურმე ტყიბულში, თბილისში ყოფილიყო წასული მივლინებით თაფბირზე სამინისტროში.

„გადამირჩა, ბეწვზე გადამირჩა, მაგრამ ესეც კარგი, ხომ გავამწარე!“ — ბოლომამ კვლავ არ მოასვენა და ხმამაღლა წარმოთქმეინა ეს სიტყვები.

კი გავამწარე, მარა შემარჩენს? ესაა საქმე, თავის ფიქრსა და საფარდლის მიჰყვებოდა კვალდაკვალ ბოჭორიშვილი, — ამბობენ, პროკურატურაში შეიტანა განცხადებაო, ცილისწამებელი მომიძახნეთ, ერთ-ორ კაცზე მაქვს ეჭვი და შეამოწმეთო... ა, ვითომ შეიძლება, მაგის გაგება? შეიძლება თურმე: გრაფიკული ექსპერტიზაო, თუ რაღაც ჯანდაბა და დოზანა, მაგით დაადგენენო ხელთნაწერის ავტორს.

ვერაფერსაც ვერ დაადგენენ! მარცხენა ხელით დაიწერე“.

ეს სიტყვები ისე ხმამაღლა წამოიძახა შოთამ, ცოლს ძილი გაუფრთხო:

„მგონი, შეიშალა ეგ ჩემი ცოდვით საცხე“, — დაეჭვებით ჩაილაპარაკა მან და წამოდგა, უკ[illegible] რიჟრაჟიც მოსდგომოდა ფანჯრებს.

თავს იმხნევებდა ვითომ ბოჭორიშვილი, მაგრამ სადღა იყო სამხნევე. იმ ანონიმური წერილის ამბავი რომ გაახსენდა, ახლა წუხანდელი სიზმარიც ცუდად ეხმიშნა. ეს თხუნელად ქცევა რაღა იყო მაინც, ან ბარი რომ დაჭკრეს და მიწის ზევით ამოაგდეს, ეს რას უნდა ნიშნავდეს? მერე საკუთარ საწერ-კალამზე ძაფად რომ ამოახვიეს და შამფურზე წამოგებული შესაწვავი გოჭივით წამა-უკუღა, რომ ატრიალებდნენ, ეს კარგი ნიშანია?

„შამფური კი არა, ის არ გინდა! ჩმახია სიზმარი... ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს,“ — ჩაიბუტბუტა შოთამ და წამოდგა. დიდხანს და უხალისოდ იპარსავდა პირს. მერე ჩაიცვა და ადრინდან წავიდა სამუშაოზე ისე, რომ არ უსაუზმია. გუნებაზე ვერ იყო, სიზმარმა ისე დაზაფრა, დანა პირს არ უხსნიდა.

სიზმარი კი არა, სინამდვილე უფრო აწუხებდა: აყურეოკრული ჰქონდა, ამ ბოლო დროს ანონიმმთხზველებსა და ცრუდამსმენებს დიდი ბრძოლა გამოუცხადეს, მისი ანონიმური წერილიც ექსპერტიზაზეა გაგზავნილი და დღე-დღეზე პასუხს ელიანო. ვაითუ, მართლა გამოიცნონ, რა ქნას მაშინ. არ ურჩევნია მართლა გაუსკდეს მიწა და ჩაწვეს შიგ თხუნელასავით! ფულით რომ მოევლებოდეს საქმეს, წავა, ნახავს ვიღაცას. თანაც ეშინია, ხანდახან ისე გაჯიქდებიან და გადაგრიზავენ კარს, ანლოს ვერ გაეკარები, მაინც უნდა იღონოს რამე, გულხელდაკრეფილი ხომ ვერ დაჯდება. ჯობს ისევ თამაზ ცქიფურიშვილთან მივიდეს, ტყიბულის მილიციის უფროსთან, რაც იქნება, იქნება, მოეტანს ფულს. მაინც მისასვლელი იყო, გუშინ მაგის თანამშრომლებმა აქტი შეუდგინეს, ექვსი მანეთი ზედმეტი გადაახდევინეო მომხმარებელს („ექვსი მანეთისთვის არ მიმიფურთხებია!“), ზედმეტი ფული და უფაქტურო ბენზინი აღმოუჩინეს, უნდა მივიდეს, უნდა მოუაროს საქმეს...

იფიქრა, იყოყმანა, ბოლოს მაინც გამოიტანა სახლიდან ფული, გაახვია ლამაზად ქაღალდში და წავიდა.

ცუდად აუხდა წუხანდელი სიზმარი ბოჭორიშვილს, ცქიფურიშვილმა ქრთამი არ გამოართვა, დაუძახა თანამშრომლებს ქვლავ აქტი შეუდგინეს და ახალი ბრალდება წაუყენეს — მოქრთამვის მცდელობა.

ეროჰაა! ახლა კი მიხვდა ბოჭორიშვილი, არ ხუმრობდნენ ესენი, მასთან სახუმროდ და სალაზღანდარაოდ არავის სცალია, წავიდა ის დრო, უფროსიდან უმცროსამდე ყველასთან ყველაფერი რომ გაუდიოდა. თუ ასე წავიდა საქმე, ციხე არ ასცდება. როგორც ეტყობა, ფულით ყველას და ყველაფერს ვერ იყიდი.

ვერც იყიდა, თუმცა ბევრი ეცადა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავის დასაღწევად ათასი სხვა ხერხი და საშუალებაც იხმარა...

სასამართლოს რომ წარუდგა, ისე იყო დალეული და დაპატარავებული, მართლა ჩაეტეოდა თხუნელას ტყავში, მაგრამ ჩასაძორომდა და დასაძალავი აღარსად ჰქონდა. ხუთი სხვადასხვა დანაშაული წაუყენეს ბრალდა: ცრუ დასმენა, ქრთამის მიცემა, სახელმწიფო ქონების დატაცების მცდელობა, ვაჭრობის წესების დარღვევა — მომზმარებლის მოტყუება, საბრძოლო ვაზნების უნებართვოდ შენახვა.

საქმე განიხილა ზესტაფონის სახალხო სასამართლომ და 1985 წლის 23 აპრილს განაჩენით 6 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ბოჭორიშვილი ბედს ბოლომდე მაიხე არ დანებდა. სად იყო, სად არა, იშოვა და მართლმსაჯულების ორგანოებს წარუდგინა ყალბი საბუთი — სამამულო ომის მონაწილის მოწმობა, რომლითაც თავი დააღწია სასჯ[illegible] — ამხსნტიით ეპატია დანაშაული. მერე, როცა ამ დოკუმენტის სიყალბე გაირკვა, მეორედ გასამართლეს და ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1987 წლის 6 მარტის განაჩენით კვლავ 6 წელი მიუსაჯეს. ამჯერადაც სულზე მოუსწრო ამნისტიამ, ახლახან გაათავისუფლეს პატიმრობიდან და თავის ოჯახს და თბილ კერას, შვილებსა და შვილიშვილებს დაუბრუნდა.

ამასობაში კი ეს წუთისოფელიც გაელია, უკვე 65 წლისა მოიყარა შოთა ბოჭორიშვილი... და დღეს მასზე უკეთ იქნება არც არავინ იცოდეს, რომ პატიოსან ცხოვრებას არაფერი სჯობს. ვერც ფული, ვერც სიმდიდრე სიმშვიდეს და ბედნიერებას ვერ მოგანიჭებს, თუ საკუთარი სინდისის წინაშე მართალი არა ხარ.

სხვაზე უკეთ იცის ახლა მან ეს, და ეს წერილი მისი ჭკუის სასწავლებლად არც დაწერილა. სხვებს უფრო გამოადგება იგი ჭკუის სასწავლებელ მაგალითად, და თუ მაინც ფელეტონს გმირად ვაქციეთ იგი, რა ვუყოთ, ისე ჩათვალოს, თითქოს სარკეში ჩაეხედოს... მაშ, როგორ გინდა, დანაშაულს რომ ჩაიდენ, მოსანანიებლად ცოტა მსხვერპლიც უნდა გაიღო, მოთმინებით მოისმინო გაკიცხვა და შუბლზე სირცხვილს ოფლი იდინო, თუ გინდა, რომ მომავალში მაინც თვალი გაუსწორო ადამიანებს.

**მ. მიქაძე.**

**ფრონტი ესპანეთიდან**

# უკვდავი იდალგოს კვალდაკვალ...

**იმ** დღეს მოღუშულ ცაზე ქარი დააქროლებდა აფორიაქებულ ღრუბლებს.

ბუნება განაბულიყო წარღვნის მოლოდინში, მაგრამ უეცრად, თითქოს ვიღაცამ ფუნჯი გადაუსვაო ზეცას, ცისარტყელა გადაიჭიმა ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე და მოელვარე პალიტრად გადაეწნა ღრუბლებსაც, დედამიწასაც, გამხდარ, ახმახ რაინდსაც, რომელიც შუბით დაყუდებულიყო ამტვერებულ გზაზე.

რაინდმა შუბი შემართა, თითქოს მიესალმა სამყაროს, და ამ დროს უხილავმა მხატვარმა კიდევ ერთი ცისარტყელა შემოავლო დედამიწას.

თითქოს საკმარისი იყო ოდნავ შეხებოდი ამ ცისარტყელების ფერადოვან, დაჭიმულ სიმებს და ღვთაებრივი მელოდია ჩაიღვრებოდა ადამიანთა სულში, ისეთივე მშვენიერს გახდიდა მათ, როგორიც ეს ცისარტყელები იყო!

მხოლოდ სერზე ჩამწკრივებული წისქვილები პირქუშ გუშაგებივით ჩამდგარიყვნენ ცისარტყელასა და დედამიწას შორის, მშვენიერებასა და ადამიანის სულს შორის. დგანან უქმად ფრთაჩამოყრილები, დიდი ხანია აღარ დაუბერვნებიათ დოლაბები, არც დასიზმრებიათ ოქროსფერი ხორბალი. გაშეშებულან ჯაჭვები, აღარ ისმის სარეკელას რაკუნი. ისე გგონია, ვეღარავითარი ქარი ვეღარ შთაბერავს მათ სულს.

ჰეი, თქვენ!.. — უკივის მათ რაინდი. — მოეგზადეთ საბრძოლველად! — და ვინ იცის, ამ ოთხი საუკუნის მანძილზე მერამდენედ, ჭინებით მიაშურა შუბლმომარჯვებულმა ქარის წისქვილებს... და მთელი ამ ოთხი საუკუნის მანძილზე კაცობრიობის ოცი თაობა ჰუმპანობს — ვინ არის იგი, სულელი თუ ფილოსოფოსი? — ბუზებენ და დავობენ, მაინც, რა ეგონა ეს წისქვილები ამ რაინდს — სახელად დონ კიხოტს?.. ნუთუ, მართლაც, მარტოოდენ პრიმიტიული ურჩხულები?..

ბუზებენ, ბუზებენ და ყოველ თაობას თავისი პასუხისთვის მიუგია.

მე კი იმ დროს, როცა ლამანჩის ცენტრში, ქალაქ კამპო დეკრიპტანის მახლობლად სერზე გადამდები ჯვუფი „ქარის წისქვილების“ ეპიზოდს იღებდა და კახი კავსაძე, განუმეორებელი დონ კიხოტი, ესპანური ცისა და ესპანური ცისარტყელის ქვეშ გაფფორებით ეკვეთა შუბით ესპანურ წისქვილებს, მივხვდი, რომ ეს რაინდი უკვე ოთხი საუკუნეა ჩემი გულისთვის, ჩემთვის ებრძვის რუტინას და გულგრილ მდუმარებას. რომ ამიერიდან ცისარტყელებს ვეღარავინ შეუშლიდა ხელს ჩემთვის მოეცათ თავიანთი მშვენიერი ფერები და მოეძღვნათ მელოდიები...

დამდგმელ რეჟისორს რეზო ჩხეიძეს ხშირად ეკითხებიან: რატომ მაინცდამაინც დონ კიხოტი? დღეს, ჩვენს დროში დონ კიხოტი?!

რეჟისორი დაუფიქრებლად უპასუხებს:

— განა დონ კიხოტის არსებობის ოთხასი წლის მანძილზე კაცობრიობამ უკვე ისწავლა ყოველივე ის, რასაც მას ეს, იქნებ ყველაზე უმჩიკვლო, ყველაზე პატიოსანი კაცი უქადაგებდა?..

ვერ ისწავლა...

მადრიდში, „ესპანეთის“ მოედანზე, სადაც სერვანტესის ძეგლი დგას, მის ფერხთქვეშ კი ბრინჯაოს დონ კიხოტი და სანჩო პანსა გარინდულან ახალი თავგადასავლების მოლოდინში, კვარცხლბეკის ფილაზე ვიღაცას აკანკალებული ხელით შავი საღებავით წაუწერია: „ამ ადგილას მძარცველმა მოკალა ახალგაზრდა, კარგი ბიჭი. სირცხვილი მკვლელს!!!“.

დაუჯერებელია... მაგრამ ეს მოხდა სერვანტესისა და დონ კიხოტის თვალწინ, რომლებიც კაცობრიობას ეგდერებოდნენ, აწწმუნებდნენ, უკოდნენ: „ადამიანებო! იყავით ადამიანები!“.

ამ მძარცველს — მკვლელს არაფერი ეცხო დონ კიხოტისა. არც იმათ, ვინც მასთან ერთად მოედანზე იყო, როცა კაცს კლავდნენ, და არა წინაღუდგა. ვერ მოუსწრო დონ კიხოტმა, ვერ შეიჭრა მათ სულში, თორემ ქვეყნად ერთი მკვლელობით ნაკლები მოხდებოდა...

წისქვილებთან ბრძოლა სწრაფად გადავიღეთ. ერთი ამოსუნთქვით, პირველივე დუბლებით. ყველაფერი კარგად იყო—არც ღრუბლები დაფორიაქობდნენ, ქარიც წინდან უბერავდა, მსახიობებიც გუნებაზე იყვნენ. რეზო ჩხეიძე, დიდძალი ხალხის ყაყანში (ლამის მთელი ქალაქის მოსახლეობას აქ მოეყარა თავი) ისე ხმამაღლა, ზუსტად და მკაფიოდ ხელმძღვანელობდა ოპერატორს, მხატვრებს, დეკორატორებს, მსახიობებს, ისე მსუბუქად, ჭაბუკურად დაჰქროდა მოედანზე, ისეთი გატაცებით ჩურჩულებდა ტექსტს და უკარნახებდა როლს იმათ, ვინც კადრში იყო, რომ უსიტყვოდაც მიხვდებოდით, როგორ უყვარდა თავისი ფილმის გმირები და ყოველივე ის, რასაც ისინი აკეთებედნენ! და როცა გასცა ბრძანება — მორჩა! გადაღებულია! — ესპანელები დიდხანს უკრავდნენ ტაშს და ერთხმად გაიძახოდნენ: „ბრავო!“.

ისევე უკრავდნენ ტაშს მაყურებელნი მადრიდის გადასაღებ მოედნებზე, ალმაგრის უძველეს კომედიის თეატრშიც (იგი მშვენივრად შემონახულა, დღესაც მოქმედია და შექსპირის „გლობუსზე“ რამდენიმე წლით უფროსია), სოფელ სან-კარლოსის მოედანზეც, ესპანელი როდი, თანაგვიგრძნობს ჩვენც და სერვანტესსაც. რა დამავიწყებს ერთი გარეგნულად დარბაისელი ბატონის სიძულვილით აღსავსე თვალებს?.. იგი თავდაჯერებით მოაბიჯებდა მოედანზე, სადაც ერთ ეპიზოდს ვიღებდით. თავაზიანად ვთხოვეთ, ცოტა ხანს გაჩერებულიყო, რათა კადრში არ მოხვედრილიყო. კამერა უკვე მუშაობდა, ეპიზოდი დიდი და რთული იყო, მსახიობები უკვე საუბრობდნენ. როცა ამ ბატონმა შეიტყო, რომ საბჭოთა კავშირიდან ვართ, უხეშად მოგვიშორა და წაიბასისინა: „წითლები!..“, და პირდაპირ მსახიობებისკენ წავიდა, თითქოს გვეუბნებოდა, „წითლების“ ჯიბრზე რასაც მინდა, იმას ვიზამო. კადრში კი ან დროს დონ კიხოტი — კახი კავსაძე დოროთეას (ესპანელ პალომა ბოტინს) უსმენდა და შესძახა: „მე მზად ვარ დაგეხმარო, მშვენიერო პრინცესა!.. ჩვენ დავამარცხებთ ურჩხულს, რომელმაც გაბედა შენი წყენინება!..“.

ამ უკანასკნელ კაცმა ხელი ვერ შეუშალა ამ მონოლოგს. კამერა გაზი გადასცა ერთ-ერთი გამარჯვებული ფილმის რეჟისორს.

შორს გაითქვა: სახელი ქართულმა კინემატოგრაფმა. ამ ქალაქიდან ჩვენი კინოსტუდიის არაერთ ფილმს წამოუღია ყველაზე საპატიო პრიზები.

და მაინც, რა ცოტა რამ იციან ესპანელებმა ჩვენს ქვეყანაზე! და რა ხარბად გისმენენ, როცა რამეს უამბობ საბჭოთა კავშირზე, საქართველოზე, თბილისზე, ჩვენს კინოზე და ხელოვნებაზე.

...მივიჩქარით. დაღამებამდე დიდი გზა გვაქვს გასავლელი. მაგრამ რეზო ჩხეიძე მძღოლს სთხოვს ცოტა ხნით შეუხვიოს პატარა სოფელში. ვუიტრადო დელ ლოზია — „ვეთხუელობთ მაჩვენებელზე.

— აქ პიკასოს მუზეუმია, — გვეუბნება რ. ჩხეიძე.

პიკასოს მუზეუმი? ამ მიყრუებულ პროვინციაში?!

დიახ. სოცაარი მუზეუმია. იგი მხატვრის მეგობარს ეუგენიო არიასს შეუქმნია. სენიორ ეუგენიო მისი პირადი დალაქი ყოფილა. ერთ-ერთი სტენდის მინის ქვეშ ინახება სამართებელი, საკრეჭი მანქანა, სავარცხელი... ეუგენიო, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ჭაბუკი ამ ხელსაწყოებით კრეჭდა და პარსავდა დიდ პიკასოს. მათი მეგობრობა მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდებოდა, და მხატვარს წიგნებზე, სურათებზე, უბრალო მუყაოზე სხვადასხვა წელს წაუწერია: „სახსოვრად ჩემს მეგობარს ეუგენიო არიასს“. ეუგენიოს სათუთად შეუნახავს მთელი ეს საჩუქრები და შეუქმნია მუზეუმი, რომელსაც თავს დაჰკანკალებს. მაგრამ ეუგენიო არიასი მარტოოდენ მუზეუმის პატრონი კი არა, ჩინებული გიდი და მთხრობელიცაა. ცოცხლად და მსუბუქად გესაუბრებათ, დინჯად გაცნობთ საინტერესო წვრილმანებს, და იგრძნობა, რაოდენი პატივისცემით არის გამსჭვალული თავისი გამოჩენილი მეგობრისადმი. მუზეუმში გატარებულ ერთ საათში დაგვიხატა პიკასოს სახე, რომელსაც, თურმე, ჯერ არ ვიცხობდით. თითქოს ცოცხალი გვენახოს, თითქოს მასთან ერთად ვყოფილიყავით ოჯახურ ვითარებაში, და დავწწუნდით, რომ ჩვეულებრივი კაცი ყოფილა, როგორც ჩვენ ყველანი, რომ ისიც იპარსებოდა და იკრიჭებოდა, ჩვენსავით ფიქრობდა პურზე ირსობისა და ჩვენსავით სჭირდებოდა მეგობარი... „რატომ გეძახდათ მეგობარს მაინცდამაინც თქვენ?“ — ჰკითხა არიასს რ. ჩხეიძემ.

— პიკასო ჩემზე იტყოდა ხოლმე: „ეს ერთადერთი კაცია, რომელიც არაფერს არ მთხოვს“...

— ღიმილით უპასუხა სენიორ ეუგენიომ.

არიასმა მიგვიყვანა საყოველთაოდ ცობილ სურათთან „დონ კიხოტი და სანჩო პანსა“, მაგრამ ამ ეგზემპლარზე მხატვარს კუთხეში მიუხატია ხარი, რომელიც გაფრენილ მტრედს ურქენს.

— როცა პიკასომ ეს ნახატი მაჩუქა მითხრა: „ეუგენიო, ყველანი უნდა ვეცადოთ, რომ ხარმა მტრედი ვერ დაიჭიროს“.

საუბარში სწრაფად გარბის დრო.

სენიორ ეუგენიო კომუნისტია. ეს ამაყად თქვა. პიკასოც კომუნისტი იყო. როცა ოფიციალურად შევიდა პარტიაში, 64 წლისა ყოფილა. მაშინ ბევრნი ამბობდნენ, მოხუცებულობის ახირებაოო. მაშინ პიკასოს საქვეყნოდ განუცხადებია, ჩემს თავს ყოველთვის კომუნისტად ვთვლიდი და ყველა ოოხუნგგებს შორის ყველაზე სამართლიანად მიმაჩნია ლოზუნგი: „ყველასაგან — უნარის მიხედვით, ყველას — მოთხოვნილების მიხედვით“.

სენიორ ეუგენიომ ჭეშმარიტ გაგვაცილა. თანასოფლელები ესალმებიან, ჩვენზე ეკითხებიან. იგი ამაყად უპასუხებს — ჩემი მეგობრები არიან, საქართველოდან...

გზები, გზები... მივყვებით დონ კიხოტისა და სანჩოს კვალს. ისინი ამ გზებზე თავიანთ ჭეშმარიტებას პოულობდნენ, ჩვენ ჩვენსას ვეძებთ. ძნელია ეს გზები. ოცამა თაობამ გამოვლო იდალგოს კვალზე...

სერვანტესის რომანში ოცდაერთჯერ წოიქცევა მზუხარე სანჩო რაინდი და ყოველ ჯერზე წამოდგება, სამართლიანობისთვის ბრძოლად შემართული.

ოცდამეერთე თაობა უდგას მას კვალში...

**გარი კუნცევი,**
**ფილმ „დონ კიხოტის“ ხმის ოპერატორი.**
**1987 წ. ოქტომბერი.**
**მადრიდი.**

„კომუნისტის“ მკითხველების თ. ებანოიძისა და ა. ქუთათელაძის ნახატი.

— სასწრაფოდ შეავსეთ ეს ანკეტები და ჯანმრთელობის ცხობები და დახასიათება-რეკომენდაციებიც მოიტანეთ — ესპანეთში მიემგზავრებით!..

**სპორტი**

# 47-ე საკავშირო...

**ქალთა** შორის [illegible] საკადრაკო ჩემპიონატი [illegible] ბოლოს [illegible] გვარი დაზვერვის გარეშე დიდხანს.

მსოფლიო ჩემპიონმა ჩიბურდანიძემ ავადმყოფობის გამო გამოტოვა პარტია ხოროვეცთან. მძაფრად განვითარდა ზაიცევა-იოსელიანის შეხვედრა, რომელშიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა მეტოქეს საშუალება მისცა ამმოძრავებინა გამსვლელი პაიკა ცენტრში, მაგრამ ამასობაში თვით გასწია წინ ასეთივე პაიკი მეფის ფრთაზე. იოსელიანის ჩანაფიქრი ზუსტი გამოდგა და მან აიძულა მოსკოველი დიდოსტატი შეეწყვიტა წინააღმდეგობა. კარგად ითამაშა გურიელმა პოლნარიოვასთან. ეტუტუნი ენდშპილი ქართველ დიდოსტატს ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ მოგების მისაღწევად ჯერ კიდევ ზუსტი თამაში იყო საჭირო. პარტიის ტექნიკური ნაწილი გურიელმა ჩინებულად წარმართა და ეტლის ლამაზი მანევრით აიძულა პოლნარიოვა დანებებოდა. სხვა პარტიებში ბრძოლა ისინის იყო მიტელშპილში გადადიოდა, როც ახალგაზრდა არახამამ უკვე მოასწრო ეფექტური გამარჯვების მოპოვება. მან ფიგურა შეაწირა ჩელუშკინის და მის მეფეს რეალური მუქარა შეუქმნა. მალე ქართველმა მოჭადრაკემ მატერიალური უპირატესობა მოიპოვა და მოიგო. ლიტინსკაია-ქასოშვილის შეხვედრაში მეტოქეებს [illegible] ციტნოტში არაერთი შეცდომა მოუვიდათ. ბოლოს ლიტინსკაიამ შეძლო თავისი უპირატესობის გამოყენება და მოიგო. ნორჩმა ოსტატმა სოფიეგამ თეორიებით ამბილოვსკაიას წინააღმდეგ იტალიურ პარტიაში მეტად მშვიდი ვარიანტი აირჩია და ბოლოს მიაღწია კიდეც მიზანს — შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. მატვეევამ მოუგო ელეხანლის, სემიონოვამ — შაფრანსკას. ორი პარტია არ გამართულა.

## თამრიულო დაგა გრძელდება

**მეშვიდე** პარტიაში კასპაროვმა შავებით ერთხელ კიდევ მიმართა გრიუნფელდის დაცვას. საყურადღებოა, რომ ამ მეტოქეთა შეხვედრებში გრიუნფელდის დაცვა უკვე მეცამეტედ შეგვხვდა. წინა 12 პარტიიდან კასპოვმა მოიგო ოთხი, რვა კი ყაიმით დამთავრდა. აი, როგორ განვითარდა მორიგი ორთაბრძოლა:

**მეშვიდე პარტია**
**კასპაროვი — კასპარ[illegible]**
**გრიუნფელდის დაცვა**

**1. d4 ∂f6 2. c4 g6 3. ∂c3 d5 4. cd ∂:d5 5. e4 ∂:c3 6. bc jg7 7. jc4 c5 8. ∂e2 ∂c6 9. je3 0—0 10. 0—0 jg4 11. f3 ∂a5 12. j:f7+ g:f7 13. fg g:f1+ 14. ∂φ:f1 ld6 15. e5 ld5 16. jf2 gd8 17. le1 le4 18. g5 lf5 19. h4 ∂c4 20. ∂φg1 lg4 21. a4 h6 22. ga2 hg 23. lb1 gh 24. lb3 le6 25. ∂f4 lf7 26. ∂:g6 l:g6 27. l:c4+ ∂φh8 28. gb2 cd 29. cd lg4 30. lf7 g:d4 31. j:d4 l:d4+ 32. jf2 l:e5 33. jf5 le1+ 34. jf1 le5 35. ∂φh1 b6 36. lf4 lh5 37. lf5 le2 38. gc1 jf6 39. lg6 le6 40. gd1 lc8 41. gf1 ld7  აქ პარტია გადადიდო.**

## შენგელიას სამი გოლი

**ჩემპიონატის** ფინიშზე თბილისის „დინამო“ განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს. სატურნირო ცხრილში პოზიციების გასამაგრებლად ჩვენს გუნდს აუცილებლად სჭირდებოდა მორიგი ორი ქულა. ცხადია, უმაღლეს ლიგაში თავისი გეგმები აქვს ხარკოვის „მეტალისტსაც“.

თამაშის პირველივე წუთებში გამოჩნდა, რომ მასპინძლები საიერიშოდ იყვნენ განწყობილნი. ამან სულ მალე გამოიღო ნაყოფი: მეტოქის კართან პრისსპირ დარჩენილმა შენგელიამ მერვე წუთზე გახსნა ანგარიში. შესვენებამდე „მეტალისტის“ კართან კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ ფიზბრიგადელებმა მეტის კეკეთება ვერ შესძლეს.

მასპინძლებს არც მეორე ტაიმში შეუნელებიათ იერიშები. წინა ხა